ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 30 აგვისტო, 2022 №170 (8948) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

სამართალდამცავებმა ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 18 წლის ახალგაზრდა დააკავეს

ხობის რაიონში პაპანწყვილის ტბაში ახალგაზრდა კაცი დაიხრჩო



გვ.5

# „ოცნება" სააკაშვილს გაწირავს, რომ ციხეში ბოლომდე იჯდეს"



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „არ გამოვრიცხავ, საარჩევნო ბარიერზე ნაციონალები ხელისუფლებას გაურიგდნენ"





„ბევრად კარგი სიტუაცია იქნება, თუ ბარიერს 2%-მდე დასწევენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, კოალიციური მთავრობაც მივიღოთ. პარლამენტიც მრავალპარტიული და საინტერესო იქნება"

## მმართველი გუნდი ვენეციის კომისიასაც უპირისპირდება?



გვ.3

## რა შემთხვევაში გაიყვანს რუსეთი ჯარს უკრაინიდან?

უკრაინელი გენერალი მალომუჟი: „ბირთვული შანტაჟი არ იმუშავებს"



გვ.3



გვ.3

## რა მკურნალობა სჭირდება მიხეილ სააკაშვილს და აუცილებელია თუ არა მისი საზღვარგარეთ გადაყვანა

ლევან დავითაშვილი: „დღესა და წლების წინ არსებული მდგომარეობა ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან"



გვ.2



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ვემზადებით, შევუერთდეთ ევროს ერთიანი გადახდების სივრცეს"

## 31 აგვისტოს ელექტრომომარაგება რამდენიმე უბანს შეეზღუდება



გვ.5



გვ.7

## ლუჩანო სპალეტი: „ხვიჩას მხრებზე საქართველო აწევს"



გვ.4

## ფქვილზე ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს

1993230720223

**4** ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება"

**5** მამაკაცმა შეყვარებულს ფული მოჰპარა

**6** უკრაინელებმა ხერსონის ოლქში შეტევითი ოპერაციები დაიწყეს, ოკუპანტები ბრძოლის ველიდან გარბიან

**6** უცნობი ქალს ლატარიაში სოლიდური თანხის მოგებაში დაეხმარა

# „ოცნება“ სააკაშვილს გაწირავს, რომ ციხეში ბოლომდე იჯდეს“

## მამუკა გამყრელიძე: „არ გამოვრიცხავ, საარჩევნო ბარიერზე ნაციონალები ხელისუფლებას გაურიგდნენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.



***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ხელისუფლება დასავლეთის მიმართ კრიტიკას აქტიურად აგრძელებს, ახლა მისი სამიზნე ვენეციის კომისიაა. რამდენად სახიფათო ვითარებაა, რა პოლიტიკური მოცემულობა გვაქვს?***

– დავიწყოთ იმით, რაც ბოლოს მოხდა და ეს არის ვენეციის კომისიის დასკვნის შეფასება. აქამდე ჩვენ ვხედავდით პერსონების მიმართ ძალიან უხეშ დამოკიდებულებას, კელი დეგნანი იქნებოდა ეს თუ ევროპარლამენტარები. ახლა უკვე ლაპარაკია არა პერსონებზე, არამედ ინსტიტუციებზე.

***– რამდენად საშიშია ეს ვითარება?***

– ეს უკვე ძალიან სერიოზული ცვლილებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში თავდასხმა იქნება არა პარლამენტარებზე, არამედ მთლიანად ევროპარლამენტზე, არა კელი დეგნანზე, არამედ სახელმწიფო დეპარტამენტზე. საბოლოო ჯამში, მივალთ იქამდე, რომ ჩვენს პარტნიორებს ბოლომდე ჩამოვიჭრით და გავემიჯნებით. პარტნიორის გარეშე დარჩენა კი, მოგეხსენებათ, ჩვენს გეოგრაფიულ მდგომარეობაში კატასტროფის ტოლფასი იქნება. არ ვიცი, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ხელისუფლება. ის, რომ ვეტოს დაძლევენ ამ კანონის მიღებაზე, გასაგებია. ამაში ეჭვიც არ მეპარება. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ჩვენ უარს ვაცხადებთ ამ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე და მაქსიმალურად დისტანცირებას ვიწყებთ ევროპისაგან. აი, ეს არის შედეგი.

***– რა არის ამის მიზეზი?***

– თუ რა არის მიზეზი, ამაზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ. ეს არის რუსეთის გავლენა? ესეც შესაძლებელია. ეს არის ბიძინა ივანიშვილის ახირება, შანტაჟი იმის გამო, რომ ივანიშვილს დააკისრეს რაღაც სანქციები, ეს კიდევ ერთი ვარიანტია. შესაძლოა, ეს ყველაფერი ერთად, კომპლექსურიც იყოს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაც თავის დამოუკიდებელ თამაშს თამაშობდეს, მაგალითად, პრემიერ-მინისტრი.

***– ასეთ შეფასებებსაც ვისმენთ, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლება ხედავს თავის როლსა და საჭიროებას, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და ამიტომ გამოირჩევა ასეთი თავხედური ქმედებებით. ამ ვარიანტს რამდენად უშვებთ?***

– თქვენ რასაც ბრძანებთ, ეს არის ვაჭრობა. ვაჭრობა არ ნიშნავს ასეთ ხისტ მიდგომას, ლანძღვას, გინებასა და არასწორ დამოკიდებულებას. ვაჭრობა რბილად ხდება, მოქნილად.

***– ესენი, უხეშად რომ ვთქვათ, პირდაპირ ნაჯახით ჩეხენ?***

– დიახ, ესენი სწორედ იმ ტოტს ჩეხენ, რომელზეც სხედან, თორემ, ვაჭრობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, მე ვთვლი, რომ დიპლომატიასა და პოლიტიკაში ვაჭრობა აბსოლუტურად ნორმალური ამბავია.

***– მაგრამ აქ არანაირი დიპლომატიური ენა არ ჩანს.***

– აბსოლუტურად არანაირი. ადრე თუ იყო პერსონებზე თავდასხმები, ახლა გადავიდნენ ინსტიტუციებზე. მალე ქვეყანა უფსკრულში გადავარდება. გადავიჩეხებით.

***– ბატონო მამუკა, რით პასუხობს ამ ყველაფერს ოპოზიცია? ვერ ვხედავთ ერთიანობას, ვერ ვხედავთ სამოქმედო გეგმას.***

– ვერაფერს ვერ ვხედავ, სიმართლე გითხრათ.

***– მართალია, ტრაფარეტული შეფასებაა, მაგრამ ექსპერტები აცხადებენ, რომ ხელისუფლება რუსთაველზე გდია და მისი ამღები არავინ არ არის.***

– მე არ ვიტყოდი, რომ ხელისუფლება რუსთაველზე გდია. ნამდვილად არ ვიტყოდი, იმიტომ რომ, კი ხელისუფლების მიმართ არის გარკვეული გაღიზიანება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება იმდენად სუსტია, ვიღაცა მოვა და მას აიღებს. არა, ასე არ არის, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ოპოზიცია არ არის ერთიანი. ასე დაცალკევებულ ოპოზიციას კი ნამდვილად არ შეუძლია ხელისუფლების აღება. ისტორიულად ასეა საქართველოში. ასევე ზოგიერთი დიდი პარტიის სხვა პარტიებზე ზემოდან ყურება ქმნის ერთმანეთის ერთგვარ მიუღებლობას. ეს ყველაფერი გაღიზიანებასა და წყენას იწვევს.

***– არ აქვთ საზოგადოებაში ნდობა. ხალხი ფიქრობს, ოპოზიციას რომ გავყვეთ, ვისით შევცვალოთ ეს ხელისუფლებაო? ეს ოპოზიცია უკეთესი არაფრით არ არის ამ ხელისუფლებაზე. აი, ეს განწყობაა ხალხში.***

– კი ბატონო, აბსოლუტურად გეთანხმებით. კარგი, ჩვენ დაგვცინიან, 2%-იანი პარტიები ხართო. ხომ არის დიდი პარტია ნაციონალური მოძრაობა? იქაც არ არის ერთიანობა. სასწაული ამბები გამოდის.

***– ბევრს საუბრობენ შიდა დაპირისპირებაზე, მელია ცალკეა, პარტია – ცალკე და ამომრჩეველი – ცალკეო. რა ხდება ნაცმოძრაობაში?***

– კი ბატონო, სერიოზული შიდა დაპირისპირებები აქვთ და ეს უკვე გარეთ გამოდის, აღარ იმალება. ძალიან ღიად ჩანს ყველაფერი, ერთმანეთზე თავდასხმები და ასე შემდეგ.

***– რატომ მივიდნენ აქამდე? ეს ხომ იმედგაცრუებას იწვევს მათ მხარდამჭერებში.***

– ვერ გეტყვით, რატომ მივიდნენ აქამდე. მიშას განცხადებებმაც დიდი როლი ითამაშა ამ ყველაფერზე. დღეს საქმე ისაა, რომ, საბოლოო ჯამში, მთელი ოპოზიციური სპექტრი ჩამოკიდებული ვართ ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე. ამას აბსოლუტურად ღიად ვაცხადებ.

***– რას გულისხმობთ, რომელ გადაწყვეტილებას?***

– იმას, რომ მიიღებს ხელისუფლება 2%-იან ბარიერს თუ დატოვებს 5%-იანს. ეს იქნება გადამწყვეტი მომავალ არჩევნებში.

***– ანუ სრულიად ოპოზიცია განაჩენს ელოდება?***

– რეალურად განაჩენს ელოდება, თუნდაც იმიტომ, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი, ჩემი აზრით, ოპოზიციური პარტიებიდან არავის არ ექნება, გარდა ნაციონალური მოძრაობისა.

***– ნაციონალური მოძრაობაც რომ დაიშალოს?***

– თუ 5%-იანი ბარიერი დატოვეს, ამ შემთხვევაში, ხომ იცით, როგორც ხდება, საზოგადოება გადაიხრება ძლიერი პარტიისკენ, ან საერთოდ არ მივლენ არჩევნებზე. თუ ასე მოხდა, მაშინ 25%-მდე აიღებს ნაციონალური მოძრაობა და დანარჩენს კი, როგორც მინიმუმ, 60%-ს მიიღებს ხელისუფლება. ხელისუფლება მიიღებს ორპარტიულ პარლამენტს, შიგნით კი ექნება კონსტიტუციური უმრავლესობა. აი, ეს არის ხელისუფლების გეგმა.

***– ძალიან არასასიამოვნო პროგნოზია.***

– სიმართლეს ხომ უნდა შევხედოთ თვალებში. ბევრად კარგი სიტუაცია იქნება, თუ ბარიერს 2%-მდე დასწევენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, კოალიციური მთავრობაც მივიღოთ. პარლამენტიც მრავალპარტიული და საინტერესო იქნება.

***– აწყობს ეს „ოცნებას“?***

– არა, რაში აწყობს, საერთოდ რაში სჭირდება. ერთი ერთზე დარჩენა არ ურჩევნია სუსტ ნაციონალურ მოძრაობასთან?! არც იმას გამოვრიცხავ, რომ გარიგდნენ კიდეც ერთმანეთში. ნაციონალებსაც აწყობთ 25%-იანი უმცირესობით ჯდომა პარლამენტში. არც ეს უნდა გამოვრიცხოთ. არ დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას სერიოზული ძალა დააკლდა მიხეილ სააკაშვილის სახით. ამიტომ, რას მოიმოქმედებენ, კაცმა არ იცის.

***– სააკაშვილი ახსენეთ და რას ელით, მოუწევს ხელისუფლებას მისი სამკურნალოდ გაშვება?***

– ახლა ძალიან ცუდ რაღაცას ვიტყვი: მე ვფიქრობ, განწირულია სააკაშვილი იმისთვის, რომ ბოლომდე იჯდეს ციხეში. ასე მგონია, არ გაუშვებენ უცხოეთში. ალბათ საავადმყოფოში დატოვებენ. რატომღაც ასეთი შეგრძნება მაქვს. არ აწყობთ სააკაშვილის გაშვება. სიმართლე გითხრათ, არც არავინ დაუჯერებს სააკაშვილს, რომ ის პოლიტიკიდან წავა. როგორც კი უცხოეთში აღმოჩნდება, მომენტალურად დაიწყებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას. არადა, ცუდად არის და, საავადმყოფოში ყოფნის მიუხედავად, კიდევ 13 კილოგრამი დაიკლოო. 13 კილოგრამის დაკლება ძალიან სერიოზული ნიშანია იმისა, რომ ის ცუდადაა.

***– გარისკავს ასე ხელისუფლება? ხომ შეიძლება, მას რაღაც დაემართოს.***

– როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეს ნაკლებად ადარდებს!

> „ბევრად კარგი სიტუაცია იქნება, თუ ბარიერს 2%-მდე დასწევენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, კოალიციური მთავრობაც მივიღოთ. პარლამენტიც მრავალპარტიული და საინტერესო იქნება“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ვემზადებით, შევუერთდეთ ევროს ერთიანი გადახდების სივრცეს“



ვემზადებით, შევუერთდეთ ერთიან ევრო გადახდების სივრცეს, ორგანიზაციას სახელწოდებით SEPA, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ საჭირო აღარ იქნება ევროკავშირის გადარიცხვებისთვის საკორესპონდენტო ბანკის ან შუამავლის გამოყენება.

– ვემზადებით შევუერთდეთ ერთიან ევრო გადახდების სივრცეს, ორგანიზაციას სახელწოდებით SEPA (ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნებში საგადასახადო მომსახურებისა და პროვაიდერების ჰარმონიზების ჩარჩო). ამ ორგანიზაციის წევრია ევროკავშირის 27 ქვეყანა, ასევე დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი. ამ მიზნით აქტიურად ვმუშაობთ, ეროვნული ბანკია ჩართული, ასევე ეკონომიკის სამინისტრო და სხვადასხვა სამთავრობო უწყებები. საქართველოს პარლამენტმა, რომელსაც დასამტკიცებლად გადაეგზავნება დღევანდელ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი სამი კანონპროექტი, უნდა დაამტკიცოს და შესაბამისი ცვლილება ასახოს კანონმდებლობაში.

საჭირო აღარ იქნება ევროკავშირის გადარიცხვებისთვის საკორესპონდენტო ბანკის ან შუამავლის გამოყენება და ეს ძალიან პოზიტიური საკითხია ჩვენი მოქალაქეებისთვის, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## ლევან დავითაშვილი: „დღესა და წლების წინ არსებული მდგომარეობა ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან“



– დღესა და წლების წინ არსებული მდგომარეობა ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან მომზადების, ეკიპირების, ტექნიკური აღჭურვისა და ვერტმფრენების მომზადების კუთხით. ვერტმფრენების პარკი გარემონტდა შარშან და შარშანწინ იმისთვის, რომ მათ წინაშე დღეს არსებული ამოცანები შეასრულონ. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თადარიგს ვიჭერთ უფრო რთული გამოწვევებისთვის, რომ თუ ასეთი დადგება ქვეყანაში, მზად ვიყოთ, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მედიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ, რატომ ყიდის ძვირადღირებულ ვერტმფრენს სახელმწიფო.

როგორც დავითაშვილმა განმარტა, ეს ვერტმფრენი უნდა ჩანაცვლდეს არა ფუფუნების საგნით, არამედ ისეთი ტიპის საფრენი საშუალებებით, რომლებიც გამოყენებული იქნება სამაშველო ოპერაციებში, საგანგებო სიტუაციებში ან სხვა საჭიროებებისთვის, რაც ქვეყანას აქვს.

– ეს არის კონკრეტული მოლაპარაკება, კონკრეტული გარიგება, რაზეც პრემიერი საუბრობდა. არის მოლაპარაკება კონკრეტულ მწარმოებელთან, რომ ჩანაცვლდეს ეს ვერტმფრენი არა ფუფუნების საგნით, არამედ ისეთი ტიპის საფრენი საშუალებებით, რომლებიც გამოყენებული იქნება სამაშველო ოპერაციებში, საგანგებო სიტუაციებში, ან სხვა საჭიროებებისთვის, რაც ქვეყანას აქვს. ბევრი სპეკულაცია იყო ამ თემასთან დაკავშირებით ბოლო დღეების განმავლობაში – სად არის სახელმწიფო, ვართ თუ არა მომზადებული... მახსოვს, 2017 წლის ხანძრის ქრობის პროცესშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, ველზე მომიწია მუშაობა და მაშინ ქვეყანას მართლაც ბევრი გამოწვევა ჰქონდა: ეკიპირების, წვრთნის, მომზადებისა და ა.შ. მიმართულებით. იმ ხანძარმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა სამაშველო სამსახურებში. დღესა და წლების წინ არსებული მდგომარეობა ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან მომზადების კუთხით, ეკიპირების კუთხით, ტექნიკური აღჭურვისა და ვერტმფრენების მომზადების კუთხით. ვერტმფრენების პარკი გარემონტდა შარშან და შარშანწინ იმისთვის, რომ მათ წინაშე დღეს არსებული ამოცანები შეასრულონ. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თადარიგს ვიჭერთ უფრო რთული გამოწვევებისთვის, რომ თუ ასეთი დადგება ქვეყანაში, მზად ვიყოთ.

დღეს, საბედნიეროდ, კონტროლშია ეს პროცესი და (ხანძარი) ლოკალიზებისკენ მიდის. მომავალი წლებისთვის უნდა ვიყოთ მზად და არ არის ისე, რომ დღეს არ გვაქვს საშუალებები. ხოლო ის, რომ მივიღეთ საერთაშორისო დახმარება, ეს არის აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესი. პირველ დღეებშივე მქონდა საუბარი ჩემ კოლეგებთან და ყველა მეზობელი ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრი გვთავაზობდა დახმარებას ამ კუთხით. ეს ძალიან ბუნებრივია, ჩვენც თუ რამით შეგვიძლია, გვერდით უნდა დავუდგეთ ჩვენ მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებს, – განაცხადა დავითაშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს მთავრობა სამ ახალ ვერტმფრენს შეისყიდის. როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, მთავრობის გადაწყვეტილებით გაყიდიან წინა ხელისუფლების დროს შეძენილ ერთ ძვირადღირებულ ვერტმფრენს, რომელიც, მისივე შეფასებით, „ფუფუნებისთვის“ იყო შესყიდული. საუბარია „სუპერ პუმას“ ტიპის შვეულმფრენის გაყიდვაზე.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მმართველი გუნდი ვენეციის კომისიასაც უპირისპირდება?

მარიამ მჭედლიშვილი

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ე.წ. მოსმენების კანონზე საქართველოში ახალი პოლიტიკური სკანდალის საფუძველი ხდება. „ქართული ოცნების“ უმრავლესობა არ იზიარებს ვენეციის კომისიის მოსაზრებას იმაზე, რომ მოსმენების კანონი გადასახედია. ამ კანონს თავის დროზე ვეტო დაადო პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

საერთოდ, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლების პოზიცია სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხზე შეიძლება არ ეთანხმებოდეს ვენეციის კომისიის მოსაზრებებს. შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში რომელიმე ქვეყნის პარლამენტმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები არ გაითვალისწინოს.

ახლა სხვა კონტექსტია. ვენეციის კომისიის ახლანდელი რეკომენდაცია დაემთხვა ურთულეს გეოპოლიტიკურ სიტუაციას რეგიონში. ამ პერიოდში საქართველოში გამძაფრებულია სიტყვიერი თავდასხმები ზოგადად დასავლეთის, სხვადასხვა ევროპული და საერთაშორისო სტრუქტურების, განსაკუთრებით აშშ-ის წინააღმდეგ, ევროპული ინსტიტუტები კი საუბრობენ დემოკრატიულ უკუსვლაზე სხვადასხვა მიმართულებით. ანტიდასავლურ რადიკალურ ფრონტში ღიად არის ჩართული მმართველი გუნდი თავისი განშტოებებით.

ვენეციის კომისია ევროპის, დასავლეთის ერთი სტრუქტურაა და მისი საწინააღმდეგო გამოსვლები ამ მომენტში ანტიდასავლური ფრონტის გაფართოებად აღიქმება.

ვენეციის კომისიის შეფასებით, ე.წ. მოსმენების კანონი საქართველოში ნაჩქარევად იქნა მიღებული და ის გადახედვას საჭიროებს.



უმრავლესობის წევრების აზრით, ვენეციის კომისია არ გამოთქვამს სამართლებრივ შენიშვნებს, კანონის ნაჩქარევად მიღების თაობაზე შენიშვნა კი უსამართლოა.

**მიხეილ სარჯველაძე:**

– ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რეკომენდაციაში სამართლებრივი არგუმენტი მითითებული არ არის. პარლამენტმა ე.წ. მოსმენების კანონის განხილვას არცთუ ისე ხანმოკლე პერიოდი დაუთმო. რომ არსებობდეს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს და რაიმე სტანდარტს არღვევდეს საკანონმდებლო ინიციატივა, გვექნებოდა შესაძლებლობა, ამ საკითხისათვის ამ რაკურსით შეგვეხედა. მოცემულ შემთხვევაში არაფერია მითითებული და საუბარია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვაზე. ამ კრიტიკასაც ვერ გავიზიარებთ და ვერცერთ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით. პარლამენტმა მის განხილვას არცთუ ისე ხანმოკლე პერიოდი დაუთმო. მეორე მოსმენის ეტაპზე კანონპროექტის განხილვა ორი კვირით შეჩერდა იმიტომ, რომ ყველას, ვისაც ამის ინტერესი ჰქონდა, მისცემოდა შესაძლებლობა, არგუმენტები წარმოედგინა.

როგორც ჩანს, „ოცნების“ უმრავლესობა „მოსმენების“ კანონს ბოლომდე დაიცავს. იქნება თუ არა მისი რიტორიკა ვენეციის კომისიისადმი ისეთივე მწვავე, როგორიც აშშ-ის საელჩოს მიმართ შეინიშნება, მალე გამოჩნდება.

# რა შემთხვევაში გაიყვანს რუსეთი ჯარს უკრაინიდან?

## უკრაინელი გენერალი მალომუჟი: „ბირთვული შანტაჟი არ იმუშავებს“

მარიამ მჭედლიშვილი




უკრაინის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობასა და პროგნოზებზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინული არმიის გენერალი ნიკოლაი მალომუჟი.

***– რატომ კონცენტრირდება მტერი ხარკოვთან?***

– რუსებმა განსაზღვრეს, რომ დარტყმებს განახორციელებენ გადაწყვეტილებების მიღების ძირითად ცენტრებზე. კიევის მაგივრად გადაწყვეტილი აქვს ასეთი მიდგომის დემონსტრირება ხარკოვის მიმართ. ხარკოვი პოლიტიკური, ასევე მძლავრი ტექნოლოგიური და სამხედრო ცენტრია. ის არის უკრაინის მეორე დედაქალაქი. ჯერ ერთი, რუსებს უნდათ წინააღმდეგობის კერების ჩაქრობა, პანიკის დათესვა, მეორე მხრივ, მრეწველობის განადგურება, მესამე მხრივ, პირობების შექმნა ხარკოვის დასაპყრობად. ისინი ხედავენ, რომ ხარკოვის აღების პერსპექტივა არ არსებობს. ამიტომ ისინი იყენებენ ტერორის ტაქტიკას, ხარკოვის მაგალითზე აჩვენებენ, რომ შეუძლიათ დაარტყან სხვა ქალაქებს. მოწინააღმდეგე ხედავს, რომ უკრაინა მზადაა კონტრშეტევისთვის სამხრეთში – ხერსონის, ზაპოროჟიეს, ასევე ხარკოვის მიმართულებით. რუსები ცდილობენ, მოგვაყენონ სისტემური დარტყმები და იმოქმედონ ადამიანებზე, პირველ რიგში, ხარკოველებზე, ასევე – სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებზე, რათა მათ ხელისუფლებისგან მოითხოვონ ომის შეწყვეტა.

***– პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთის ჯარები სრულად დატოვებენ უკრაინის ტერიტორიას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პუტინის შანტაჟმა არ გაჭრა?***

– მარტის მოლაპარაკებების შემდეგ არჩეულ იქნა რუსი აგრესორის დამარცხების, უკრაინის ტერიტორიების სრული გათავისუფლების გზა. ეს ახლა უკრაინის ხელმძღვანელობისთვის ძირითადი კონცეფციაა. ის, უბრალოდ, ზელენსკისა და მისი გუნდის სურვილს არ ეფუძნება. ის ემყარება სამხედროების პოზიციას, ასევე – მოსახლეობის აქტიური ნაწილის, მთელი უკრაინელების პოზიციას. სხვა სცენარები მიუღებელია. პუტინს არ სჯერა, რომ უკრაინაში ადამიანებს შეუძლიათ ასეთი კონსოლიდაცია, ის კი ესმის, რომ სტრატეგიულად უკვე წააგო, ნატოსთან მიმართებით მიზანს ვერ მიაღწია – ალიანსი ფართოვდება. უკრაინაშიც ვერ მიაღწია მიზანს. დასავლეთი გააქტიურებულია. ჩვენ გავაერთიანეთ სამხედრო ძალები. ეკონომიკური და ენერგეტიკული შანტაჟიც არ გამოუვიდა – ქვეყნებმა დაიწყეს რუსული ენერგომატარებლების ალტერნატივის ძიება. პუტინი ფსონის აწევას სხვადასხვა ხერხით ცდილობს. ესაა მოსახლეობის დაშინება, უფრო მასირებული დარტყმები, ესაა ფრაზა „ჯერ არაფერი დაგვიწყია“, დარტყმები ხარკოვზე, კონტინგენტების, მათ შორის ავიაციის კონცენტრირება, სარაკეტო ძალების გადაადგილება ბელარუსში. რომელი ვარიანტია შესაძლებელი? ეს არის ჩვენი აქტიური მოქმედებები ყველა ფრონტზე. მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ ეფექტიანი გათავისუფლება, შეტევითი ოპერაციები ხერსონის, ზაპოროჟიესა და სხვა მიმართულებით. უნდა შევქმნათ პირობები მოწინააღმდეგის გასაქცევად.

პუტინის მხრიდან ზეწოლის ერთ-ერთი ფაქტორია ბირთვული უსაფრთხოება, განსაკუთრებით, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური. უფრო ღრმა შანტაჟს წარმოადგენს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება. პუტინს პერსპექტივა აქაც არ აქვს. ამ შანტაჟს აცნობიერებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ საშუალება, ონლაინრეჟიმში დააკვირდნენ რუსეთის მოქმედებებს (სტრატეგიული, ტაქტიკური ბირთვული იარაღის, ატომური ელექტროსადგურების თვალსაზრისით), კონტროლს მუდმივად ახორციელებენ. ამიტომ ბირთვული შანტაჟი არ იმუშავებს. ვფიქრობ, იქნება რუსეთის ჯარების გასვლისა და გაყვანის სცენარი ჩვენი ძალების ზეწოლით. დაიდება შეთანხმება საერთაშორისო გარანტიებით უკრაინის მიმართ. განისაზღვრება რუსეთის სტატუსი და გამოცხადდება, რომ რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიოსთვის. ამის შემდგომ ილაპარაკებენ ახალ მსოფლიო წესრიგზე, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ უსაფრთხოებას და არ დაუშვებს რუსეთის შემდგომ აგრესიულ მოქმედებებს.

***– უშვებთ, რომ გარკვეულ პირობებში რუსეთი ნებაყოფლობით გაიყვანს თავის ჯარებს უკრაინის ტერიტორიიდან?***

– ვუშვებ, რომ სრული ჩავარდნის საფრთხის არსებობის, უკრაინის მხრიდან სისტემური შეტევითი ოპერაციების შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება, დათანხმდეს ჩვენს პირობებს. ასეთი სცენარი შესაძლებელია იმიტომაც, რომ ეს რაღაც დროით გადაარჩენს რეჟიმს რუსეთში. თუ ეს არ მოხდა, რუსეთს ელის სავალალო პერსპექტივა. ეს ჩვენთვისაც უარესია, ვინაიდან პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს.

# რა მკურნალობა სჭირდება მიხეილ სააკაშვილს და აუცილებელია თუ არა მისი საზღვარგარეთ გადაყვანა



საერთაშორისო ექსპერტებმა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნა რამდენიმე დღეში უნდა მოამზადონ.

გაეროში აკრედიტებულმა ექსპერტმა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის კვლევა დაასრულა და ახლა ის ელოდება პასუხს, როდის მიეცემა შესაძლებლობა, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ვიდეომასალა შეისწავლოს. კვლევის მეორე ეტაპს კი ამერიკელი ფსიქიატრი ატარებს.

„ემპათიის“ ექსპერტი, ნევროლოგი ოთარ თოიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უარესდება.

– პირველ რიგში, რაც უნდა გააკეთოს ექიმმა, ეს არის ინფორმირებული თანხმობის ჩამორთმევა და ამაზე ბატონმა მიხეილმა ყველაფერზე თანხმობა განაცხადა და მისცა ის ინფორმაცია, რომელსაც ექსპერტი თხოულობდა... ჩვენ ორივემ სხვადასხვა მოდალობები, რაღაცა ერთმანეთი შევავსეთ, რაც მან ნახა, ის დავაზუსტე მე. მდგომარეობა არის ნელ-ნელა გაუარესებადი, რაც შეიძლება ერთი შეხედვით ვერ შეამჩნიო, მაგრამ, დინამიკას თუ გადავხედავთ, ნელ-ნელა მიდის პაციენტი დამძიმებისაკენ. თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ ეს შეიძლება მოხდეს უეცრად ან დროთა განმავლობაში, – ამბობს ოთარ თოიძე.

# ათენში დააკავეს ქართველი ქალი, რომელსაც 43 სახლის გასაღების „დუბლიკატი“ აღმოაჩნდა




საქართველოს მოქალაქე ათენის უშიშროებამ ორგანიზებული დანაშაულის ბრალდებით დააკავა.

40 წლის ქალი წლების განმავლობაში ოჯახებში დამხმარედ მუშაობდა. გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ ის დამსაქმებელთა სახლების გასაღებს იპარავდა, აკეთებდა ასლებს და გაძარცვის მიზნით თანამზრახველებს გადასცემდა.

ქართველი ქალის დაკავების ფაქტი უკვე მოექცა ბერძნული მედიის ყურადღების ცენტრში. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელ მისამართზე ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს ნაძარცვი ძვირფასეულობა, ანტიკვარული ნივთები, მოოქროვილი ხატები, ხმლები, ცეცხლსასროლი იარაღები, 173 ვაზნა, 43 სხვადასხვა სახლის გასაღები და საბუთები.

საბერძნეთის უშიშროების მიერ დაკავებული ქართველი, წარმოშობით კახეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტიდანაა. ახლობლები ადასტურებენ, რომ ქალი წლებია საბერძნეთში მუშაობს, თუმცა დანაშაულებრივ ქსელთან მის კავშირს კატეგორიულად გამორიცხავენ.

გამოძიება ახლა დანაშაულის სხვა ფიგურანტების გამოვლენაზე მუშაობს. პრესა წერს, რომ დიდი ალბათობით, ბრალდებულთა წრე გაიზრდება, ისევე როგორც დაზარალებულთა რაოდენობა.

# ნიკა მელია: „ხელისუფლება, რომელსაც 10 წელია, ერთი ვერტმფრენი ვერ უყიდია, ევროკავშირში ვერ შეგვიყვანს“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

– არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პარტიის ან ვისი მხარდამჭერი ხარ, ცხოვრობ ქვეყანაში, სახელმწიფოში, რომელიც 10 წელია ლაპარაკობს ვერტმფრენის ყიდვაზე და ვერ უყიდია, შეუძლებელია არ დაგეუფლოს უსუსურობის, არასრულფასოვნების განცდა, პესიმიზმი.

ევროკავშირში გაწევრიანება გვინდა და სახელმწიფოს 10 წელიწადია, 1 ცალი ვერტმფრენი ვერ გვიყიდია.

ხელისუფლება, რომელსაც 10 წელია, ერთი ვერტმფრენი ვერ უყიდია, ევროკავშირში ვერ შეგვიყვანს – მაგრამ საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი!

# რატი ბრეგაძე: „რუსთავის ციხეში მოშიმშილე 90 პატიმრის შესახებ ინფორმაცია მტკნარი სიცრუეა“

იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის განცხადებით, ინფორმაცია რუსთავის ციხეში მოშიმშილე 90 პატიმრის შესახებ არის მტკნარი სიცრუე. „ამ ეტაპზე მე-6 დაწესებულებაში მოშიმშილე პატიმრების რაოდენობა არის 10-მდე“, – ასე გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციას ფლობდა მინისტრი რუსთავის ციხეში მყოფ მოშიმშილე პატიმრებზე.

როგორც ბრეგაძემ აღნიშნა, სამინისტროს ვალდებულება მდგომარეობს იმაში, რომ მიაქციოს ამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება, რაც, მისი შეფასებით, „ზედმიწევნით სრულდება“.

– როდესაც ვინმე საუბრობს თითქოსდა არაადამიანურ მოპყრობაზე, აქ მიზეზებში უნდა ჩახვიდეთ – აქ საუბარი გვაქვს მე-6 დაწესებულებაზე, რომელიც არის დახურული ტიპის დაწესებულება და იმყოფებიან მხოლოდ მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები. თუ ამ ადამიანების ყოფაქცევა არ არის შესაბამისი, მათ მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები. ეს არის ჩვეულებრივი პრაქტიკა და ამ ადამიანებს არ მოსწონთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ის გარემო და სახდელი, რომელიც გამოიყენება. თუკი ადამიანს გარემო არ მოსწონს, ბუნებრივია, მისი უფლებაა, რომ შეუძლიათ იშიმშილოს. ეს არის მათი უფლება. ჩვენი ვალდებულება მდგომარეობს იმაში, რომ მივაქციოთ ამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება, რაც ზედმიწევნით სრულდება. არა მხოლოდ მე-6, არამედ ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში პატიმრები იმყოფებიან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ სამედიცინო პერსონალის მხრიდან.

მეორე მოთხოვნა, რის გამოც იყო შიმშილობა, იყო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით და აქაც თამამად უნდა ითქვას ის, რომ ყოველთვის სამედიცინო პერსონალი ზრუნავს პატიმართა ჯანმრთელობაზე. ვისაც სჭირდება გარეთ გაყვანა, გაჰყავთ მათ შორის კერძო კლინიკებში, ნაწილი მე-18 დაწესებულებაში. თუ არ არის გაყვანის საჭიროება, ის პატიმრები არ გაჰყავთ და სხვა ჩივილი შეიძლება იყოს თუნდაც სუბიექტური ხასიათის, მაგრამ ნებისმიერი სახის ჩივილზე რეაგირებს სამედიცინო პერსონალი და გადაწყვეტილებას იღებს სამედიცინო დეპარტამენტი – ვინ არის გასაყვანი, ვინ – არა და ვის შეიძლება ჩაუტარდეს მკურნალობა ადგილზე, – განაცხადა ბრეგაძემ.

# საქართველოში ადგილობრივი დამსვენებლების რაოდენობამ იმატა



ტურისტულ სექტორში ძალიან საინტერესო ტენდენცია გვაქვს, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში: თუ შემომსვლელი ვიზიტორების რაოდენობამ იკლო, იმატა ადგილობრივმა დამსვენებელმა – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს" „შუხმან შატოს" დირექტორმა განუცხადა.

როგორც ნუცა აბრამიშვილი ამბობს, ეს ფაქტი არის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო, რადგან პანდემიის დროს ქართველი დამსვენებელი არ გადიოდა ქვეყნის გარეთ, შესაბამისად, ის ისვენებდა საქართველოს კურორტებზე, მათ შორის კახეთში და თანხები არ გადიოდა ქვეყნის გარეთ და მიდიოდა ქართულ ეკონომიკაში, რაც ძალიან კარგია.

მისი თქმით, შარშანდელთან შედარებით, ქვეყანაში ტურიზმის 20%-იანი ზრდაა და ეს ყველაფერი საერთაშორისო ვიზიტორის ნაცვლად, ქართველი ვიზიტორის ხარჯზე. ნუცა აბრამიშვილის განცხადებით, ადგილობრივი ტურიზმის განვითარების შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. ის იმედოვნებს, რომ მომავალ წელს მეტი ტურისტი იქნება საქართველოში, რადგან რიგი შეზღუდვებისა უკვე მოიხსნა და ეს ქვეყანაში შემომსვლელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– ბევრი ავიაკომპანია დაფრინავს და საქართველოში ჩამოსვლა ძალიან ხელმისაწვდომია, მათ შორის, აღსანიშნავია უვიზო მიმოსვლა 94 ქვეყანასთან, შესაბამისად, ტურისტულად საქართველო ყველანაირად ხელსაყრელი ქვეყანაა, როგორც უსაფრთხოების, ასევე ფასების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ამიტომ მოლოდინები გვაქვს საკმაოდ დადებითი, – აცხადებს „შუხმანი შატოს" დირექტორი.

როგორც მან განაცხადა, ფასების მატება მოთხოვნის შესაბამისად, სეზონურად ბუნებრივი პროცესია, თუმცა რადგან წელს აქცენტი შიდა ტურიზმზე იყო, ფასები ადგილობრივებზე მაქსიმალურად ჰქონდათ მორგებული: „მოგეხსენებათ, ქართველის მსყიდველობითუნარიანობა განსხვავდება მაგალითად ევროპელის შესაძლებლობებისგან, ამიტომ ზოგადად, ფასები გქონდა შემცირებული პანდემიის პერიოდში და სხვადასხვა პრომოამბები გვქონდა შემოტანილი, მაგრამ სეზონური ზრდა, ცხადია განხორციელდა. კარგი ის იყო, რომ მანამდე არ მოხდა ფასების მკვეთრი შემცირება, რომელიც შემდგომ ბევრ უარყოფით შედეგზე აისახებოდა".

ნუცა აბრამიშვილის განცხადებით, შუხმან ჯგუფს ჯამში 160 ადამიანი ჰყავს დასაქმებული, ხოლო სასტუმროში ტურისტები ევროპიდან, აზიიდან, ახლო აღმოსავლეთი და დიდი ბრიტანეთიდან არიან. „ეს არის იმ ბაზრების ტოპ 5, საიდანაც ჩვენთან ყველაზე მეტი ტურისტი შემოდის", – აცხადებს იგი.

# ფქვილზე ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს

საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ ლევან სილაგავას განცხადებით, ფქვილზე ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს.

როგორც სილაგავამ პრესკონფერენციისას განაცხადა, ფქვილზე ფასი იკლებს, მაგრამ ჯერჯერობით ტენდენციაში არ გადასულა ქსელურ მარკეტინგში. მისი თქმით, თუ ჯაჭვში არ იქნება შეყვანილი ქსელური მარკეტები, ვინც საბოლოო პროდუქტს ყიდის და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან არ გაკონტროლდა, „ვერ გავიგებთ, ფქვილზე ფასის კლება მომხმარებელზე აისახება თუ არა".



მისი განცხადებით, საქართველოში ხორბლის 100 ტონა მოსავალი იყო, თუმცა 5-ჯერ მეტი რუსეთიდან შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა თვითუზრუნველყოფის გაზრდა.

– ვიცით, რომ ამუშავდა უკრაინის დერეფანი, ამან დადებითი ტენდენციები გამოიწვია. ასევე რუსეთში საკმაოდ კარგი მოსავალია და აქაც მცურავი ბაჟი შემცირებისკენ წავიდა. თუ ტენდენცია გაგრძელდება, წისქვილებმა შეიძლება გადახედონ ვითარებას და ამოქმედებისკენ გადაიხარონ. დღეს, სამწუხაროდ, გვაქვს ტენდენცია, როდესაც ფქვილი შემოდის და არა ხორბალი, რის გამოც დიდი წისქვილები ვერ მუშაობენ. შესაძლებელია, წისქვილების სხვა ნაწილებმაც იფიქრონ წარმოების ამუშავებაზე და არა ფქვილის შემოტანაზე. დღეს ფქვილის შემოტანა უფრო რისკიანია, ვიდრე ხორბლის. გაეროსგან ბევრი გაფრთხილება მიიღო მსოფლიო თანამეგობრობამ რუსეთთან დამოკიდებულებასთან მიმართებაში და თვითუზრუნველყოფის გაზრდაზე.

საქართველოში ხორბლის 130 ტონა მოსავალია, თუმცა 5-ჯერ მეტი შემოგვაქვს, ამიტომ საჭიროა თვითუზრუნველყოფის გაზრდა. ჩვენს ასოციაციას დაუკავშირდა ამერიკული მხარე, ინფორმაციისა და ტენდენციების გარკვეული მიმოცვლა მოხდა. შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი საქართველოში ხორბლის წარმოების გაზრდის მიზნით საქართველოში ვიზიტს აპირებს. არა მარტო ჩვენს ასოციაციაში იქნება შეხვედრები, არამედ მთავრობაშიც. პროგრამა ითვალისწინებს 50%-მდე თვითუზრუნველყოფის გაზრდას.

ფქვილის ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს. ერთი თვის წინ, 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 85 ლარი იყო, დღეს 80 ლარამდეა ჩამოსული, თუმცა თუ ჯაჭვში არ იქნება შემოყვანილი ქსელური მარკეტები, ვინც საბოლოო პროდუქტს ყიდის, ვერ გავიგებთ ფქვილზე ფასის კლება აისახება თუ არა მომხმარებელზე. არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე კონტროლს ახორციელებს ყველა ჯაჭვში, ყველა ეტაპზე. სახელმწიფომ დააანონსა პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე რეფერენტული ფასების შემოღება, რაც ნიშნავს, რომ ყველა ჯაჭვში გარკვეულ ფასნამატზე იქნება სახელმწიფოს კონტროლი, – განაცხადა სილაგავამ.

# წამლების მსგავსად, რეფერენტული ფასები პურზეც უნდა დაწესდეს

„საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის" თავმჯდომარე მალხაზ დოლიძის განცხადებით, პურის ფასის კონტროლის ქვეშ მოსაქცევად, წამლების მსგავსად, რეფერენტული ფასები პურზეც უნდა დაწესდეს.

დოლიძის თქმით, პურის დღეს არსებული ფასი არა წარმოების მიერ ნაკარნახევი ფასია, არამედ „მაღაზიების მიერ მომდინარეობს".

– რეფერენტული ფასები უნდა შემოვიდეს. კონტროლი უნდა იყოს იმისა, რომ მე რომ მაღაზიას პური მივაწოდე, მან ეს თანხა თავის მოგებაში კი არ უნდა ასახოს, არამედ მოსახლეობას იმ ფასად მიაწოდოს, რა ფასადაც მიწოდებულია. რა თქმა უნდა, შიგნით თავის მოგება უნდა ჩადოს, მაგრამ არა ისეთი მაღალი, რომ მოსახლეობაზე აისახოს, – აღნიშნა დოლიძემ.

მისივე განცხადებით, პურის მწარმოებლების სურვილია, რომ თუკი შესაძლებლობა იქნება, პურის ფასი დაახლოებით, 10 თეთრით შემცირდეს.

– ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ა.შ. ფასებში ფოკუსირდება, ამიტომ, თუ გვექნება შესაძლებლობა, ჩვენ ყოველთვის წავალთ იმაზე, რომ, რა თქმა უნდა, ეს პურის ფასში ავსახოთ, მითუმეტეს ტენდენცია ისეთია, რომ დღეს ფქვილის ფასები დაბლა მოდის. მეწარმის სურვილი ყოველთვის არის, რომ მეტი პურის რეალიზაცია მოხდეს, ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ თუ ამის შესაძლებლობა იქნება, ფასის დაკლება დაახლოებით 10 თეთრის ფარგლებში მოხდეს, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

ამასთან, მისივე თქმით, მსოფლიო ბირჟაზე ხორბლის ფასი და საქართველოსთვის დაწესებული მცურავი ბაჟის თანხა შემცირდა და ქვეყანაში ხორბლის შემოტანის და წისქვილკომბინატების ამუშავება შესაძლებელი გახდა.

– ბოლო პერიოდში წისქვილკომბინატების მუშაობა შეუძლებელი გახდა, გაჩერდა და ქვეყანაში ძირითადად, ფქვილი შემოდიოდა. დღეს ტენდენცია შეიცვალა. დღევანდელი ფასები მსოფლიო ბირჟებზე არის მაგალითად, ფრანგული 345 დოლარი, ამერიკული 346 დოლარი, რუსული 347 დოლარი. გარდა ამისა, ამ მცურავი ბაჟის ფასმაც საგრძნობლად დაიკლო, რომელიც ჩვენთან მიმართებაში მოქმედებდა და შესაძლებელი გახდა ხორბლის შეძენისა, მიღებისა, რომ წისქვილკომბინატები ამუშავდეს და ეს ძალიან კარგი ტენდენციაა, – განაცხადა მან.

მალხაზ დოლიძის ინფორმაციით, ადგილობრივი ხორბლის წარმოების კუთხით წელს კარგი მოსავალია.

– წელს მოსავალი უკეთესია. უკვე აღებულია 100 ათასი ტონა. პროგნოზია, რომ 150 ტონამდე ხორბალს მივიღებთ. ძალიან კარგია, რომ საქართველოში ხორბლის მოყვანას მიუბრუნდნენ, – აღნიშნა მალხაზ დოლიძემ მედიაცენტრ „მთავარში" გამართულ პრესკონფერენციაზე.

## ივლისში თითქმის ყველა საბანკო პროდუქტი გაძვირდა

2022 წლის ივლისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საბანკო პროდუქტების უმრავლესობაზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობებისთვის გაძვირდა იპოთეკური, ასევე, ავტო და სამომხმარებლო სესხები, მხოლოდ ლომბარდულზე შემცირდა.

**როგორია შინამეურნეობებისთვის გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი (ივლისის სტატისტიკა):**

იპოთეკური სესხები – 12,48% (2021 წელი – 12,07%); ავტოსესხი – 23,75% (2021 წელი – 20,88%); ლომბარდული სესხი – 18,37% (2021 წელი – 19,97%); სამომხმარებლო სესხი – 19,25% (2021 წელი – 18,93%); სამომხმარებლო სესხი – უზრუნველყოფილი – 13,75% (2021 წელი – 13,19%); სამომხმარებლო სესხი – არაუზრუნველყოფილი – 21% (2021 წელი – 20,36%);

რაც შეეხება ზოგადად საპროცენტო განაკვეთებს, 2022 წლის ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლარში გაცემულ სესხებზე გაიზარდა, უცხოური ვალუტაში კი შემცირდა.

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15,9%-დან 16,5%-მდე მოიმატა. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ყველაზე მეტად იურიდიული პირებისთვის ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტებს შეეხო. 2021 წლის ივლისის მონაცემებით, იურიდიული პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 13,2%-ს, ხოლო 2022 წლის ივლისში უკვე 13,5%-ს. ფიზიკური პირების შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი 18,2%-დან 18,4%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, სებ-ის სტატისტიკით, 2022 წლის ივლისში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7%-ს, ერთი წლით ადრე კი ეს მაჩვენებელი 6,2% იყო. ამასთან, იურიდიული პირებისთვის განაკვეთი 6,5%-დან 7,3%-მდე გაზიარდა, ფიზიკური პირების

## ბელგიის ენერგეტიკის მინისტრი: „ევროპას 5-10 წლის განმავლობაში საშინელი ზამთარი ელის"

ბელგიის ენერგეტიკის მინისტრ ტინ ვან დერის განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებს 5-10 წელი საშინელი ზამთარი ელით, თუ ბუნებრივი აირის ფასების შესამცირებლად არაფერი გაკეთდება.

მისივე თქმით, კავშირი გაზისა და ელექტროენერგიის ფასებს შორის ხელოვნურია და რეფორმას საჭიროებს.

– მომდევნო ხუთიდან ათამდე ზამთარი საშინელი იქნება, თუ ჩვენ არაფერს გავაკეთებთ. უნდა ვიმოქმედოთ წყაროზე, ევროპულ დონეზე და ვიმუშაოთ გაზის ფასების გაყინვაზე, – აღნიშნა ტინ ვან დერმა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ავსტრიის კანცლერმა კარლ ნეჰამერმაც გააკეთა და განაცხადა, რომ ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა უნდა შეჩერდეს.

– ჩვენ უნდა შევაჩეროთ ეს სიგიჟე, რომელიც ახლა ხდება ენერგეტიკულ ბაზრებზე, – აღნიშნა კანცლერმა.

მან ევროკავშირს ელექტროენერგიისა და გაზის ფასების ერთმანეთისგან გამოყოფისკენ მოუწოდა.

„არ შეიძლება, მივცეთ პუტინს უფლება, განსაზღვროს ევროპის ელექტროენერგიის ფასი ყოველდღიურად", – აღნიშნა კარლ ნეჰამერმა.

ევროკავშირი გაზისა და ელექტროენერგიის გაზრდილ ფასებს ებრძვის მას შემდეგ, რაც გაზის მთავარი მიმწოდებელი, რუსეთი, უკრაინაში შეიჭრა და ამის გამო მას სანქციები დაუწესდა.

ცნობისათვის, ევროპაში ელექტროენერგიის ფასებმა მიმდინარე კვირაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

## ბიტკოინის ფასი 20.000 დოლარს ისევ ჩამოსცდა — რატომ დაიკლო კრიპტოს ფასებმა

მეხუთე დღეა, ბიტკოინის ფასი იკლებს. 27 აგვისტოს უმსხვილესი კრიპტოვალუტის ფასი ისევ ჩამოსცდა 20.000 დოლარს, რაც 6-კვირიანი მინიმუმია.

როგორც წესი, ბიტკოინის ფასის კლება სხვა, შედარებით ნაკლები საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე ციფრული ვალუტების ფასებზე აისახება. ასე მაგალითად, ბოლო კვირის განმავლობაში Ethereum-ის ღირებულება 10%-ით დაეცა და 1,442 დოლარი ღირს,BNB 6.44%-ით, 278 დოლარამდე დაეცა და სხვ.




აშშ-ის ფედერალური რეზერვის ხელმძღვანელ ჯერომი პაუელის ანონსით, სავარაუდოა, რომ სექტემბერში ამერიკაში მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო გამკაცრდება და საპროცენტო განაკვეთი 75 საბაზო პუნქტით გაიზრდება.

საპროცენტო განაკვეთის ზრდა კრიპტოსამყაროში რყევებს იწვევს. მაღალი განაკვეთის პირობებში დაკრედიტება მცირდება, ინვესტორები კი ახალ სარისკო აქტივებში დაბანდებისგან თავს იკავებენ, პორტფელში უკვე არსებულ ამგვარ აქტივებს კი ყიდიან. გამომდინარე იქიდან, რომ ციფრული ვალუტები არასტაბილურ აქტივებად ითვლებიან, ამგვარ პირობებში მათ ბევრი ინვესტორი ყიდის, რასაც, შესაბამისად, ფასზეც აქვს გავლენა.

პაუელის ამ განცხადებამ საფონდო ბირჟაზეც ვნებათაღელვა გამოიწვია და ბოლო სავაჭრო სესიაზე 3%-ზე მეტით შემცირდა S&P 500-ის, Dow Jones-ისა და Nasdaq-ის ინდექსები.

## სად ყიდულობს საქართველო მეორად ტანსაცმელს

2022 წლის იანვარ-ივლისში საქართველომ მსოფლიოს 5 823 ტონა (17,279 მლნ დოლარის ღირებულების) მეორადი ტანსაცმელი იყიდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

ცნობისათვის, მონაცემები, თუ რა მოცულობის მეორადი ტანსაცმელი იყიდა საქართველომ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ვაჭრობის პორტალზე 2011 წლიდან არის ხელმისაწვდომი. მაშინ ქვეყანამ 4 031 ტონა (17,286 მლნ დოლარი) მეორეული ტანსაცმელი შეიძინა. მას შემდეგ იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა 3,1-4,8 ათას ტონას არ აღემატებოდა. 2021 წლის იანვარ-ივლისში კი სეცონდ ჰანდ-ის იმპორტმა 4 637 ტონა (11,923 მლნ დოლარი) შეადგინა.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, საქართველომ 5 823 ტონა მეორადი ტანსაცმელი მსოფლიოს 43 ქვეყანაში შეიძინა, ყველაზე დიდი რაოდენობით კი თურქეთში – 1,915 ტონა, 5,466 მლნ დოლარის ღირებულების.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება"

მთავრობის ინიციატივით, საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, თურქეთის ბაზრის გახსნის შემდეგ მოქალაქეებმა დაახლოებით 80 მილიონ ლარამდე თანხა დაზოგეს.

– ბოლო თვეების განმავლობაში წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა წამლების ფასებს. მას შემდეგ, რაც თურქეთის ბაზარი გაიხსნა და შემოვიდა ხარისხიანი თურქული წარმოების წამალი საქართველოში, ჩვენმა მოქალაქეებმა დაახლოებით, 80 მილიონ ლარამდე თანხა დაზოგეს. ამას გარდა, ბატონი ზურაბ აზარაშვილი აქტიურად მუშაობს და რომ არ მოხდეს ფასების გაზრდა, დაწესდეს რეფერენტული ფასებიც, რომ არცერთ კომპანიას, არცერთ იმპორტიორს არ მიეცეს ფასებით მანიპულირების საშუალება ან შეთანხმებები არ მოხდეს ერთმანეთს შორის, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## პოლიციამ ვანში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

სამართალდამცავებმა ვანში მომხდარი მკვლელობის საქმეზე 33 წლის მამაკაცი დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.




უწყების ცნობით, მკვლელობის ბრალდებით დაკავებულმა პირმა არაფხიზელ მდგომარეობაში ერთ-ერთი კვების ობიექტის მეპატრონეს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილი დატოვა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ზ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ვანში მდებარე ერთ-ერთი კვების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ამავე ობიექტის მეპატრონეს – 1982 წელს დაბადებულ დ.ჩ.-ს დანის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ გ.ზ. ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ვანის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის სახით დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სამართალდამცავებმა ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 18 წლის ახალგაზრდა დააკავეს

სამართალდამცავებმა ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 18 წლის ახალგაზრდა დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.




უწყების ცნობით, მკვლელობის ბრალდებით დაკავებულმა პირმა მისსავე თანასოფლელს, წარსულში არსებული კონფლიქტის გამო დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას დანით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული ლ.მ. დააკავეს. მას ბრალი განზრახ მკვლელობაში ედება.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში, წარსულში არსებული კონფლიქტის გამო დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს – 1985 წელს დაბადებულ მ.მ.-ს დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ლ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## ხობის რაიონში პაპანწყვილის ტბაში ახალგაზრდა კაცი დაიხრჩო

ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში პაპანწყვილის ტბაში 42 წლის კაცი დაიხრჩო.

ცნობილია, რომ ის მეგობრებთან ერთად ტბასთან ქეიფობდა, რის შემდეგაც წყალში არაფხიზელ მდგომარეობაში შევიდა და გარდაიცვალა.

ცხედარი უკვე ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

## „ეს იყო ძალით წაკიდებული ცეცხლი“ – ვინ დაუწვა სახლი სოციალურად დაუცველს



ვინ გადაუწვა სახლი სოციალურად დაუცველ ოჯახს თბილისში? – პოლიცია იძიებს, რა გახდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, რომელიც საცხოვრებელ უბანში ღამით მოულოდნელად გაჩნდა.

სახლის მეპატრონე „პირველებთან“ სახლის გადაწვის ვერსიებზე საუბრობს.

ის ეჭვობს, რომ სახლი შესაძლოა დანაშაულის დაფარვის მიზნით გაანადგურეს.

– ხუთშაბათ დღეს გაძარცვეს სახლი, გატეხეს და ხელით რაც წაიღეს, წაიღეს. ვერ მოასწრეს მეტის წაღება. ჩემი სიძეა მეზობელი, ახლოს ცხოვრობს, გაიხმაურა იმან და ვერ მოასწრეს. მე რაიონში წამოვედი პარასკევს და გუშინ დამირეკეს იწვის სახლიო. შეიძლება დანაშაულის დასაფარადაც დაწვეს სახლი, მეტი არაფერი არ ვიცი, გამოძიებას აქვს საქმე და მიხედავენ ალბათ, – ამბობს სახლის მეპატრონე.

პოლიციის განყოფილებაში მეზობლები უკვე გამოიკითხნენ. მათ გამოძიებას დეტალურად უამბეს, თუ რისი თვითმხილველი გახდნენ.

– ეს უნდა თქვას გამოძიებამ, ეს იყო ძალით წაკიდებული ცეცხლი, თუ ისე გაუჩნდა სახლს. ვინც ცოტა აზროვნებს, ყველა იფიქრებს 50/50-ზე რომ სახლი დანაშაულის დაფარვის მიზნით გადაწვეს, – ამბობს მეზობელი. სამართალდამცველები „პირველებთან“ საუბარში ამბობენ, რომ გამოძიება დაწყებულია, თუმცა ჯერ არ არის დადგენილი, თუ ვინ გაქურდა სახლი.

## ახალქალაქის საკრებულოს წევრ არტურ მკოიანის მეუღლე პოლიციის უფროსის წინააღმდეგ

ახალქალაქის საკრებულოს წევრ არტურ მკოიანის მეუღლე ადგილობრივ პოლიციის უფროსს ადანაშაულებს.

მინა მკოიანმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურას უკვე მიმართა. ნაციონალური მოძრაობის წევრის მეუღლე ამბობს, რომ შალვა ლომსაძე მას ემუქრებოდა და შანტაჟის მიზნით სექსუალურად ავიწროებდა.

გასულ კვირას მკოიანების სახლში პოლიცია ჩხრეკის ჩასატარებლად მივიდა, რა დროსაც სამართალდამცავის დაუმორჩილებლობის ბრალდებით ნაციონალური მოძრაობის წევრი დააკავეს და 11-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.



# 31 აგვისტოს ელექტრომომარაგება რამდენიმე უბანს შეეზღუდება

გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების გამო, 31 აგვისტოს ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება. ამის შესახებ ინფორმაციას „თელასი“ ავრცელებს.



მათივე ინფორმაციით, კრწანისის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 11:00 საათიდან 16:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: კრწანისის ქუჩის მოსახლეობას.

გლდანის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ულიანოვის, უწერის, ვარდევანის, ხეჩუაშვილის, ბარისახოს, ყუშიტაშვილის, ჭრებალოს, სხვიტორის, ხანძთელის, ანდრონიკაშვილის, გაგრის და ლიბანის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სოფელი გლდანის, გლდანის მასივის IIIა, V მიკრორაიონების, მუხის, იაკობის, ფარსმან ქველის, ჯაბიძის, ვეკუას, მწვანე, შულენბურგის, კერესელიძისა და კეცხოველის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო, 11:00 საათიდან 14:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მოსახლეობას. სამგორის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ვარკეთილის IV მიკრორაიონის, აეროპორტის დასახლების, ქვემო ალექსეევკის დასახლების, კახეთის გზატკეცილის, იუმაშევის, ჭირნახულის, ქიზიყის, გუჯეჯიანის, ჯავახეთისა და ნავთლუღის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ვაზისუბნის დასახლების, ვაზისუბნის I, IV მიკრორაიონების, შანდორ პეტეფის, დავითაიას, უტიაშვილის, მუსხელიშვილის, სულაქველიძის, კვაჭანტირაძის, ალუბლებისა და მშველიძის ქუჩების მოსახლეობას.

ისნის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: სამრეწველო დასახლების (ნაწილობრივ), ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის, ბოგდან ხმელნიცკის, ივლეთის, ნარგიზის, ბეთანიის, განთიადის, ბზიფის, მარტყოფის, საინგილოსა და თეძამის ქუჩების მოსახლეობას.

ნაძალადევის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: თემქის XI მიკრორაიონის I კვარტლის, ქუთათელაძის და ჩარგლის ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო, 11:00 საათიდან 16:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ზღვისუბნის დასახლების IIა მიკრორაიონისა და იოსელიანის ქუჩის მოსახლეობას.

ჩუღურეთის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: აღმაშენებლის გამზირის (ნაწილობრივ), უზნაძისა და ტეტელაშვილის ქუჩების მოსახლეობას.

საბურთალოს რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: მარგიანის ქუჩის მოსახლეობას.

მთაწმინდის რაიონში, გადაუდებელი სამუშაოების გამო, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: თავისუფლების მოედნის (ნაწილობრივ), ლეონიძისა და ინგოროყვას ქუჩების მოსახლეობას.

„კომპანია ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტის გამო. სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება“, – აცხადებენ კომპანიაში.

## ფოთის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გარდაიცვალა



ქალაქ ფოთის საკრებულოში პარტია საქართველოსთვის ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა გვასალია გარდაიცვალა. ინფორმაცია პარტიის Facebook გვერდზე ვრცელდება.

– ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, მეგობრებსა და თანაგუნდელებს.

მამუკა იყო ჩვენი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ღირსეული თანამებრძოლი, ფოთის და ფოთელების დიდი გულშემატკივარი.

მისი დაწყებული საქმე უკეთესი ფოთისთვის და საქართველოსთვის აუცილებლად გაგრძელდება, – წერს პარტია.

## ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა – დაინფიცირებიდან ორი წლის შემდეგ კოვიდი ბავშვებში ეპილეფსიის რისკს აორმაგებს



„კორონავირუსი მნიშვნელოვნად ზრდის დემენციის, ფსიქოზისა და გონების დაბინდვის სინდრომის (კოგნიტური დეფიციტის) განვითარების რისკს ინფიცირებიდან ორი წლის შემდეგ“, – ამის შესახებ დაავადების ნევროლოგიური და ფსიქიატრიული ეფექტების შესახებ ჩატარებულ პირველ ვრცელ კვლევაშია აღნიშნული. ინფორმაციას Financial Times-ი ავრცელებს.

კვლევის თანახმად, გრძელვადიანი ეფექტები ნაკლებად ვლინდება ბავშვებში, თუმცა ამ კატეგორიაში ინფექცია ეპილეფსიის რისკს აორმაგებს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ორი წლის წინ ინფიცირებული 1.25 მილიონი ადამიანის ჯანმრთელობის ელექტრონული ჩანაწერები გააანალიზეს.



## მამაკაცმა შეყვარებულს ფული მოჰპარა



დიდ ბრიტანეთში 51 წლის ელისონ ვუდი თავისი ყოფილი შეყვარებულის, 41 წლის უმიტუ სუკუს თაღლითობის მსხვერპლი გახდა, რომელმაც მას სოლიდური თანხა მოჰპარა.

ვუდმა და სუკუმ ერთმანეთი 2018 წლის ოქტომბერში პაბში გაიცნეს, სადაც სუკუ თითქოსდა თავის განქორწინებას აღნიშნავდა. გაცნობიდან მალევე ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. გარკვეული დროის შემდეგ კაცმა ქალს უთხრა, რომ დედამისს თითქოსდა მკერდის კიბო დაუდგინეს და სასწრაფოდ უნდა ეშოვა ფული მის სამკურნალოდ. ვუდს ეჭვი არ შეჰპარვია პარტნიორის გულწრფელობაში და დახმარება შესთავაზა.

სუკუ ქალს ეუბნებოდა, რომ ვერ ახერხებდა თურქეთში, სადაც დედამისი ცხოვრობდა, თავისი საბანკო ბარათიდან თანხის მოხსნას და სთხოვა, რომ 13,6 ათასი ფუნტი სტერლინგის რამდენიმე გადარიცხვა გაეკეთებინა. მოგვიანებით ვუდმა მამაკაცს კიდევ ათასი ფუნტი სტერლინგი გადაურიცხა მას შემდეგ, რაც სუკუმ მას უთხრა, რომ ჯარიმის თანხა ჰქონდა გადასახდელი.

ქალის თქმით, მამაკაცის თაღლითობა მას შემდეგ გამოვლინდა, რაც ის სუკუს ყოფილ მეგობარ გოგონას შეხვდა და მან უთხრა, რომ მამაკაცი ცოლს არ გაშორებია და კვლავ დაქორწინებული იყო. ასევე ვუდმა ოდნავ მოგვიანებით გაიგო, რომ მემკვიდრეობა, რომლითაც სუკუ მისი ვალის გასტუმრებას აპირებდა, სინამდვილეში არ არსებობდა. ამის შემდეგ ქალმა პოლიციას მიმართა და მამაკაცი ამ დროისთვის დაპატიმრებულია. მან თაღლითობა უკვე აღიარა.

მიმდინარე წლის აგვისტოს დასაწყისში სუკუს ორი წლით პირობითი პატიმრობა და 200 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება მიესაჯა. განაჩენის გამოტანამდე მამაკაცმა ვუდს ცხრა ათასი ფუნტი სტერლინგი დაუბრუნა. სასამართლომ მას ქალისთვის კიდევ შვიდი ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა. ვუდის თქმით, მან მამაკაცს უფრო მეტი თანხა გადასცა, კერძოდ, ის ამტკიცებს, რომ სულ სუკუს 35 ათასი ფუნტი სტერლინგი ასესხა, მაგრამ, იმის გამო, რომ ამ თანხის ნაწილი მას ნაღდი ფულის სახით გადასცა, ამის დამტკიცებას ის ვერ ახერხებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გავლას 5-ჯერ აძვირებს



თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გავლას 5-ჯერ აძვირებს. გადაწყვეტილება ძალაში 7 ოქტომბრიდან შევა. შედეგად, თურქეთს საერთო შემოსავალი 40 მილიონი დოლარიდან 200 მილიონ დოლარამდე გაეზრდება. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

– 2022 წლის 7 ოქტომბრიდან რეგულაციის ძალაში შესვლით მიმდინარე შემოსავალი 40 მილიონი დოლარიდან 200 მილიონ დოლარამდე გაიზრდება შუქურების, მაშველების მომსახურებისა და ჯანდაცვის საფასურის ხუთჯერ გაზრდით, – ნათქვამია განცხადებაში.

## ვოლოდიმირ ზელენსკი: „რუსეთი მზად არ არის მოლაპარაკებებისთვის“



უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთი მოლაპარაკებებისთვის მზად არ არის. უკრაინის პირველმა პირმა რუსეთი იმ ალიგატორს შეადარა, რომელიც მიისწრაფვის, დაეუფლოს ყველაფერს, რაც მას არ ეკუთვნის.

ამის შესახებ პრეზიდენტმა ბლედის სტრატეგიულ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა.

– ისინი მზად არ არიან მოლაპარაკებებისთვის. მათთვის მოლაპარაკებები ულტიმატუმების რიგია იმის შესახებ, რომ ჩვენ ყირიმი და დონბასი რუსულ ტერიტორიად უნდა ვაღიაროთ. ცოტა ხნის წინ მათ საჯაროდ დაიწყეს საუბარი, რომ უკრაინამ ჩვენი ქვეყნის სამხრეთი უნდა აღიაროს რუსულ ტერიტორიად მას შემდეგ, რაც ისინი ჩაატარებენ „რეფერენდუმების“ ახალ სერიას. არა აქვს მნიშვნელობა, მას რას ეტყვი – ნებისმიერ შემთხვევაში ისინი დაბრუნდებიან ახალი ტერიტორიებისთვის ნახევარი წლის განმავლობაში, მაგალითად, – განაცხადა ზელენსკიმ.

ამასთან, ზელენსკის თქმით, მისთვის ძნელია იმის განსაზღვრა, როდის შეიძლება დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები. პრეზიდენტის განმარტებით, რუსეთი მათი გამართვის წინადადებით მას შემდეგ გამოვა, რაც მთელი მსოფლიოს ძალას დაინახავს, რომელიც მხარს უკრაინას უჭერს.

## უკრაინელებმა ხერსონის ოლქში შეტევითი ოპერაციები დაიწყეს, ოკუპანტები ბრძოლის ველიდან გარბიან



ხერსონის ოლქში რუსეთის საოკუპაციო ძალების ნაწილი უკრაინის შეიარაღებული ძალების ზეწოლის შედეგად საკუთარ პოზიციებს ტოვებს და გარბის. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, საუბარია „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ 109-ე პოლკზე, რომელმაც პოზიციები დატოვა, ასევე რუს მედესანტეებზე, რომლებიც ბრძოლის ველიდან გაიქცნენ.

გავრცელებულ ვიდეოში ერთ-ერთი რუსი ჯარისკაცი აცხადებს, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა თავდაცვის პირველი ხაზი უკვე გაარღვიეს და რუსულ პოზიციებს ტანკების, არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით ბომბავენ.

## რუსეთი: „დარია დუგინას მკვლელობაში უკრაინის დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის კიდევ ერთი წევრი მონაწილეობდა“



რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის მტკიცებით, დარია დუგინას მკვლელობის მომზადებაში ნატალია ვოვკთან ერთად უკრაინის „დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის“ კიდევ ერთი წევრი ბოგდან ციგანენკო მონაწილეობდა.

– ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ მოსკოვში დარია დუგინას მკვლელობა ნატალია ვოვკთან ერთად მოამზადა უკრაინული დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის კიდევ ერთმა წევრმა, 1978 წელს დაბადებულმა უკრაინის მოქალაქემ ბოგდან პეტროვიჩ ციგანენკომ, რომელიც 2022 წლის 30 ივლისს ესტონეთის გავლით ჩავიდა რუსეთში და დარია დუგინას მკვლელობამდე ერთი დღით ადრე დატოვა რუსეთის ტერიტორია, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, ციგანენკომ ვოვკს გადასცა ყალბი საავტომობილო სანომრე ნიშნები და დოკუმენტები, რომლებიც რეალურად არსებული პიროვნების, ყაზახეთის მოქალაქე იულია ზაიკოს სახელზე იყო გაფორმებული, ასევე, დაეხმარა მას ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აწყობაში.

შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მოკავშირის, ალექსანდრ დუგინის ქალიშვილი, დარია დუგინა, 20 აგვისტოს დაიღუპა, როდესაც ავტომობილი, რომლითაც ის გადაადგილდებოდა, აფეთქდა.

## ოლაფ შოლცი: „გერმანია ევროკავშირის გაფართოების მიმართ ერთგული რჩება“



გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცის განცხადებით, გერმანია ევროკავშირის გაფართოების მიმართ ერთგული რჩება და ბლოკში უნდა გაერთიანდნენ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები, უკრაინა, მოლდოვა და, საბოლოოდ, საქართველოც, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

მისი თქმით, ყოველი ახალი წევრის მიღებასთან ერთად, იზრდება ცალკეული ქვეყნების მიერ ვეტოს გამოყენების რისკი იმ დროს, როდესაც ბლოკის ერთსულოვნებაა საჭირო, თუმცა ის ევროკავშირს საერთო საგარეო პოლიტიკაში უმრავლესობის კენჭისყრაზე ეტაპობრივ გადასვლას სთავაზობს.

– თუმცა ამ გაფართოებულ კავშირში წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებები გაიზრდება პოლიტიკური ინტერესების, ეკონომიკური გავლენისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების უზრუნველყოფის კუთხით. სადაც დღეს ერთსულოვნებაა საჭირო, ცალკეული ქვეყნის მიერ ვეტოს გამოყენებისა და ყველა დანარჩენის წინსვლისთვის ხელის შეშლის რისკი ყოველი დამატებითი წევრი სახელმწიფოს მიღებასთან ერთად იზრდება, ამიტომ მე კარგად ვიცი რა, რომ ამას გავლენა გერმანიაზეც ექნება, შევთავაზე საერთო საგარეო პოლიტიკაში უმრავლესობის კენჭისყრაზე ეტაპობრივი გადასვლა, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, როგორიცაა გადასახადების პოლიტიკა, – განაცხადა ოლაფ შოლცმა გუშინ პრაღაში სიტყვით გამოსვლისას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## უცნობი ქალს ლატარიაში სოლიდური თანხის მოგებაში დაეხმარა




ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა, 38 წლის უინძორ მილმა, 27,8 ათასი დოლარი ვირტუალური დოღის გათამაშებაში უცნობი მამაკაცის რჩევის წყალობით მოიგო.

მილმა ვირტუალური ლატარია პირველად ითამაშა ბალტიმორის ერთ-ერთ ბარში. მამაკაცმა გადაწყვიტა, ქალს დახმარებოდა და ეჩვენებინა, თუ როგორ მუშაობდა თამაში. ის თავად დიდი ხნის განმავლობაში იყო გატაცებული ამ თამაშით და 600-დან 23 ათას დოლარამდე პრიზები ჰქონდა მოგებული.

– მან მითხრა, ამერჩია რამდენიმე ისეთი ნომერი, რომლებიც თავად მომწონდა, – იხსენებს მილი.

პირველ ცდაზე მან წარუმატებლობა განიცადა, თუმცა ამაზე არ გაჩერებულა, ვინაიდან სურდა, თამაშში კარგად გარკვეულიყო.

მილმა კიდევ ერთი ბილეთი შეიძინა, თუმცა სახლში შედეგების ამოსვლამდე წავიდა. მოგვიანებით ახალგაზრდა მამაკაცმა მას ურჩია, ბილეთი შეემოწმებინა და აღმოაჩინა, რომ 27,792,20 დოლარი ჰქონდა მოგებული.

– ეს ჩემი პირველი მსხვილი მოგებაა, – დაამატა ქალმა. გათამაშების გამარჯვებულმა განაცხადა, რომ მოგებულ თანხას გადასახადების გადახდასა და საკუთარი დეპოზიტის შევსებას მოახმარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საქართველომ ევროპა წაგებით გახსნა



ხორვატიაში დაიწყო წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი და საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ჩერნოგორიასთან 11:14 დათმო.

ჩერნოგორიელები მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ, დასაწყისიდანვე მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას და ტაიმი 9:5 მოიგეს.

შესვენების შემდეგ დადგა კულმინაციური მომენტი, როდესაც დეიან სტანოიევიჩის გუნდი ათამაშდა და სხვაობა მინიმუმამდე (8:9) დაიყვანა. მომდევნო შეტევაში გათანაბრების შანსი მიეცათ, მაგრამ არ გამოვიდა, რაც მეტოქემ არ გვაპატია და ბოლო მეოთხედის წინ სულაც 5 ბურთით ჩამოვრჩით – 8:13.

ბოლო მეოთხედი 3:1 მოვიგეთ, მაგრამ თამაშის გადასარჩენად საკმარისი არ გამოდგა.

საქართველოს ნაკრებში კარგი მატჩი ჰქონდა მარკო ელაჩას, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა, ბორის ვაპენსკის ანგარიშზე 3 დაგროვდა, ხოლო თითო-თითო ნიკა შუშიაშვილმა, ივან სარიჩმა და ანდრია ბითაძემ მითვალეს.

მომდევნო მატჩი ჩვენებს 31 აგვისტოს იტალიასთან აქვთ.

## ბულგარეთი ლომებით გვემუქრება




1-7 სექტემბერს თბილისი ევროპის ჩემპიონატის ა ჯგუფს უმასპინძლებს. საქართველოს დედაქალაქს ესპანეთის, თურქეთის, ბელგიის, ჩერნოგორიისა და ბულგარეთის ნაკრებები ეწვევიან.

პირველი, ვინც საბოლოო შემადგენლობა დაასახელა, ბულგარეთია.

– თბილისო, ლომები მოდიან, – ასეთი გზავნილი აქვს ბულგარეთის კალათბურთის ფედერაციას სოციალურ ქსელში.

არადა, მთავარი მწვრთნელის როსენ ბარჩოვსკის გუნდი საკონტროლო შეხვედრებში კარგად ნამდვილად არ გამოიყურებოდა და ჯერ ჩეხეთთან განადგურდა (60:93), შემდეგ კი – ხორვატიასთან (68:98).

ბულგარელებს გაცილებით იოლი მეტოქეები ჰყავდათ ევრობასკეტი 2025-ის პირველ საკვალიფიკაციო ციკლში: ბულგარელებმა კვიპროსს 88:55 სძლიეს, რუმინეთს – 84:72.

და მაინც, ბულგარეთის ეროვნული გუნდი ჯგუფის აშკარა აუტსაიდერად მიიჩნევა.

**ბულგარეთის საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

ალექსანდარ იანევი, დეიან კარამფილოვი, ჩავდარ კოსტოვი (ყველა სპორტისტი), ალექსანდარ ვეზენკოვი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ალექს სიმეონოვი, ანდრეი ივანოვი (ორივე ცსკა), დიმიტარ დიმიტროვი, პავლინ ივანოვი, სტანიმირ მარინოვი (ყველა ბალკანი), დი ბოსტი (გალათასარაი, თურქეთი), ემილ სტოილოვი (ესტუდიანტესი, ესპანეთი), ივან ალიპიევი (არკადია, ავსტრია).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### საზოგადოება

## ქართული ფილმი ვენაში დააჯილდოვეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

1. თქვენეული პოზიცია ჯილდოს გადანაწილებასთან დაკავშირებით გავაცანი ბავშვებს. წავიკითხეთ თქვენი მესიჯები და გადავწყვიტეთ, ძალიან მკაფიოდ დავაფიქსიროთ აღნიშნულთან მიმართებით ჩვენი პოზიცია (მე ვფიქრობ, რომ გულის ამრევია, როდესაც სკოლის დირექტორი შედის არასრულწლოვან ბავშვებთან და მათთან არჩევს პრივატულ საუბრებსა და ფილმის ფინანსურ მოდელს);

2. ...თუმცა მე ოპერატორისთვის თანხის გადაცემა ნამდვილად არც გამიფიქრებია (სამწუხაროდ, ქალბატონ თინათინს ასე ესმის გადამღები ოპერატორის, რომელიც ქმნის ფილმს, გაწეული სამსახური: რეჟისორს, კიდევ ჰო, მაგრამ ოპერატორს – არა!);

3. არ ვეთანხმებით მთლიანი თანხის მხოლოდ რეჟისორსა და ოპერატორზე გადანაწილების საკითხსაც, რადგან ამ ფილმის გადაღებაში ყველას თავისი წვლილი მიუძღოდა და თანხის გადანაწილებაც ობიექტურ ჭრილში უნდა განხორციელდეს (ეს ყველაზე კარგი ფრაზაა აქ, რადგანაც ქალბატონი თინათინი, რომელიც მანამდე ამ საპრიზო თანხიდან ჰონორარის აღებას ციტირებით ახდენს და ეძახის ბავშვებისთვის ფულის ახევას ჩვენი მხრიდან, შემდგომ გადანაწილებაში თავის თავსაც „უწერს ჰონორარს“, თანაბრად რეჟისორისა. ნუ, ოპერატორი ამ ბოლო ვარიანტშიც არ განიხილება);

4. უფრო მეტიც, სამარცხვინოდ მომატყუეთ, რომ მუსიკის ლიცენზიას ფლობდით და ვენის კონგრესის კორესპონდენციამ, რომ მუსიკის ლიცენზია არ გვქონდა და ჩვენს ფილმს მოხსნიდნენ კონკურსიდან, პირველ რიგში, ძალიან უხერხულ და, მერე მხრივ, ცუდ დღეში ჩაგვაყენა. თავდაპირველად თქვენ მოგმართეთ სათითაოდ თხოვნით ლიცენზიის მოპოვებასთან ან ფილმის პირველადი ნედლი ვერსიის გადმოცემასთან დაკავშირებით, რაზეც რეაგირება, უბრალოდ, ნული იყო და შემდეგ მე მომიწია ჩემი კონტაქტებით ამ საქმის გამოსწორება. დავუკავშირდი კომპანიას, რომელმაც მომაძებნინა მუსიკის ავტორი და მომაპოვებინა ლიცენზია. შესაბამისად, მე მომიწია თქვენი დაწყებული საქმის დასრულება, თანაც ძალიან ფორსმაჟორულ და არასახარბიელო სიტუაციაში. ამდენად, მე რომ ეს ლიცენზია არ მომეპოვებინა, ვერცერთი თქვენგანი ნახევარფინალში ფილმის გადასვლის სიხარულსაც კი ვერ მოესწრებოდა, არათუ საბოლოო დაჯილდოებას!

აქ ტყუილი ისაა, რომ ჩემთვის არაფერზე მოუმართავს ქალბატონ თინათინს. თუკი რაიმე ფაქტს ამოიღებს გინდათ მიმოწერებში, გინდათ საკავშირო ანძებიდან, რომ ჩემთან დარეკილი მაინც აქვს ან ვიდეოჩანაწერებს, რომ სადმე ნანახი მაინც მყავს ეს ადამიანი, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს. აქვე ძალიან უცნაურად მეჩვენება, რომ ნახევარფინალში გადასვლის სიხარულს ვერ მოვესწრებოდით, რომ არა ქალბატონი თინათინის წერილი. საინტერესოა, ფილმის გარეშე, მარტო მუსიკის ლიცენზიით თუ მოესწრებოდა ვენაში საფესტივალო დარბაზში შესვლას;

5. შესაბამისად, საერთოდ არ ვფიქრობ, რომ თანხა მხოლოდ თქვენ შორის უნდა გადანაწილდეს, მაშინ როცა მე ტექნიკური კუთხით ძალიან დიდი დროითი რესურსისა და სოციალური კაპიტალის ჩადება მომიწია.

ეს ყველაზე საინტერესო ნაწილია – მოკლედ, ფული მომეცითო. ჩემია! ჩემიაო! ასევე ძალიან მომწონს ის, რომ ქალბატონი თინათინი თავის მოსწავლეებს სოციალურ კაპიტალს ეძახის;

6. საბოლოოდ, შეგახსენებთ, რომ თამაშის წესებს აქ მე ვადგენ და ბავშვებთან ერთად მოპოვებული თანხით რასაც დავგეგმავთ, თქვენ საქმის კურსში, ცხადია, არც ჩაგაყენებთ! ეს ძალიან კარგია;

და ბოლო... 7. აქვე ერთი რამ მკაფიოდ მინდა იცოდეთ: 3,5 წელია, რაც ამ სკოლის დირექტორის მოვალეობას ვასრულებ და ბევრად უფრო მაღალ ეშელონებზეც კი არავისთვის მიმიცია ჩემი მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების შეურაცხყოფის შესაძლებლობა. კბილებით ვიცავ და დავიცავ მათ უფლებებს და მათ დადებით განწყობას თქვენ, უბრალოდ, არ და ვერ გაგათელვინებთ! – ალბათ ბავშვების უფლებების დაცვაა, როდესაც საკუთარ თავს უწერ ჰონორარს!

მოკლედ, ვინც მიცნობთ, ყველამ კარგად იცით, რომ ნებისმიერ ფინანსურ თემასთან დაკავშირებით ჩემი პოზიციაა: „კარგი, არ გვინდა, სირცხვილია“, მაგრამ ეს ამბავი რაღაც უფრო დიდი საშინელება მგონია, ვიდრე ის, რომ ერთმა ადამიანმა გადაწყვიტა, დაეუფლოს სხვისი ნაშრომისთვის გამოყოფილ საპრიზო თანხას. ??

და ეს დიდი საშინელება ისაა, რომ ასეთი ადამიანი არის საქართველოს 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლის დირექტორი.

მირჩიეთ, ვის მივმართო, რომ ასეთი ადამიანი არ მართავდეს სკოლას და ის თანხაც მე და ჩემმა მეგობრებმა მივიღოთ, რომელსაც სრულად გადავცემთ ამ სკოლას მას შემდეგ, რაც დადგება ქალბატონი თინათინის საკითხი და დატოვებს სკოლის დირექტორის პოსტს, რადგანაც მიმაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები, რომლის წერილობით დამადასტურებელი დოკუმენტებიც გამაჩნია, არანაირ უფლებას არ აძლევს ქალბატონ თინათინ საბაურს, უძღვებოდეს სკოლასა და განათლების სისტემას. მას არანაირი ერთპიროვნული უფლება არ გააჩნია, საჯარო სკოლაში მოსწავლეებს ურიგებდეს თანხას და ანაწილებდეს სხვის პრიზებს.

პ.ს. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ აქ საუბარი არ არის ფულზე! მთელი გუნდის სახელით ვამბობ, რომ ჩვენთვის ეს ჰონორარი არაფერს ნიშნავს და ვაპირებთ კანონიერი გზით, როგორც მოხერხდება, ეს თანხა გადაეცეს უსინათლოთა თემს საქართველოში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქალბატონი თინათინ საბაურის „დადგენილი თამაშის წესებით“. ნამდვილად არ ვაპირებ, ის ემოციები და სიხარული, რომელიც მთელი გუნდის შრომისა და თავდადების შედეგია, ქალბატონი თინათინის ექსკლუზიურ საკუთრებად იქცეს! ფულზე კი აქცენტი გაკეთდა იმიტომ, რომ იცოდეს პატივცემულმა დირექტორმა, თუკი ჩვენ უარს ვიტყვით საპრიზო ფონდზე, ეს ჩვენი კეთილი ნებაა და არა მისი პირადი გადაწყვეტილება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შედეგები

## 28 აგვისტო

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი ....................0:1
ვულვზი-ნიუკასლი ..........................1:1
ნოტინგემი-ტოტენჰემი ...................0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-3 | 12 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-5 | 10 |
| 3.ტოტენჰემი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 4.ბრაიტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 5.ლიდსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 6.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 7 |
| 7.ნიუკასლი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 8.მანჩესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 9.ლივერპული | 4 | 1 | 2 | 1 | 13-5 | 5 |
| 10.ბრენტფორდი | 4 | 1 | 2 | 1 | 9-6 | 5 |
| 11.ფულემი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 12.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 13.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 14.ნოტინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 15.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 16.ვეტს ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| 17.ბორნმუთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-16 | 3 |
| 18.ევერტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 19.ვულვზი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 20.ლესტერი | 4 | 0 | 1 | 3 | 6-10 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-შტუტგარტი .......................0:0
ვერდერი-აინტრახტი .......................3:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 16-2 | 10 |
| 2.უნიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 3.ფრაიბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 5.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 6.გლადბახი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 7.მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 8.კიოლნი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 9.ლაიფციგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 10.ვერდერი | 4 | 1 | 2 | 1 | 10-10 | 5 |
| 11.აინტრახტი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-11 | 5 |
| 12.შტუტგარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| 13.ლევერკუზენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 14.აუგსბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 15.ვოლფსბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 16.შალკე | 4 | 0 | 2 | 2 | 4-11 | 2 |
| 17.ჰერტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |
| 18.ბოხუმი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-13 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ფიურტი ............................2:1
კაიზერი-მაგდებურგი .......................4:4
კილი-ზანდჰაუზენი ..........................1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ვილიარეალი .......................0:0
ბარსელონა-ვალიადოლიდი .............4:0
ესპანიოლი-რეალი ...........................1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2.ბეტისი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 3.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 4.ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 5.ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 6.სოსიედადი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.მალიორკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 8.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 9.ალმერია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10.სელტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 11.რაიო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 13.ატლეტიკო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 14.ხირონა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 15.სევილია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 16.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 17.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 18.ელჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 19.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 20.კადისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რასინგი-ოვიედო ..............................0:1
ეიბარი-პონფერადინა ........................1:0
ივიცა-ალავესი ..................................1:1

**იტალია. სერია ა**

ვერონა-ატალანტა ..............................0:1
სალერნიტანა-სამპდორია ..................4:0
ლეჩე-ემპოლი ....................................1:1
ფიორენტინა-ნაპოლი ........................0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 2.მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 3.ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4.ატალანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 5.ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 6.ტორინო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 7.რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 8.იუვენტუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 5 |
| 9.ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.სალერნიტანა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 |
| 11.უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 12.სპეცია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 13.სასუოლო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 14.ემპოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 15.ბოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 16.ვერონა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 17.ლეჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 18.სამპდორია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-6 | 1 |
| 19.კრემონეზე | 3 | 0 | 0 | 3 | 3-6 | 0 |
| 20.მონცა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ფროზინონე ....................2:1
პარმა-კოზენცა ...................................1:0
პერუჯა-ბარი .....................................1:3
პიზა-ჯენოა .......................................0:1
რეჯინა-ზიუდტიროლი .......................4:0
ჩიტადელა-ვენეცია ...........................1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნანტი-ტულუზა ..................................3:1
ბრესტი-მონპელიე .............................0:7
ლორიანი-კლერმონი .........................2:1
ნიცა-მარსელი ...................................0:3
ტრუა-ანჟე .........................................3:1
რეიმსი-ლიონი ...................................1:1
პსჟ-მონაკო .......................................1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 3 | 1 | 0 | 18-4 | 10 |
| 2.მარსელი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 3.ლანსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 4.ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 5.ლორიანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 6.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-10 | 7 |
| 7.ოსერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 8.მონოელიე | 4 | 2 | 0 | 2 | 13-9 | 6 |
| 9.კლერმონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-9 | 6 |
| 10.ტულუზა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-6 | 5 |
| 11.ნანტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 12.მონაკო | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| 13.რენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 14.ბრესტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-12 | 4 |
| 15.ტრუა | 4 | 1 | 0 | 3 | 6-11 | 3 |
| 16.სტრასბური | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 17.ანჟე | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 18.ნიცა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 19.რეიმსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-10 | 2 |
| 20.აიაჩო | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-აიაქსი ...............................0:2
ვოლენდამი-ტვენტე .........................1:0
ექსელსიორი-პსვ ...............................1:6
კამბური-ალკმაარი ...........................0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამილიკაუ-სანტა ............... კლარა 1:0
აროუკა-სპორტინგი ...........................0:6
პიუ ავე-პორტუ .................................3:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-ანტვერპენი .............................1:2
კორტრაიკი-სტანდარდი ....................0:1
სენ ჟილუა-ანდერლეხტი ...................2:1
ვესტერლო-ეუპენი .............................0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-აუსტრია ....................3:3
ტიროლი-ვოლფსბერგერი ..................1:3
რაპიდი-შტურმი .................................1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-სელტიკი ....................0:9
ჰართსი-სტ.ჯონსონი .........................3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-გირესუნი .............................3:0
ქაშიმფაშა-ჰატაი ..............................1:0
ტრაბზონი-გალათასარაი ...................0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-არისი .........................3:1

**პანეთოლიკოსის პირველი გოლი ლევან შენგელიამ გაიტანა**

ოფი-პანათინაიკოსი ...........................0:2
პაოკი-ატრომიტოსი ............................2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-სტ.გალენი ............................2:3
ვინთერთური-იანგ ბოიზი ....................1:5
ციურიხი-ბაზელი ................................2:4

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-სიგმა ......................1:0
სლოვაცკო-ლიბერეცი ..........................1:2
ბრნო-სლავია .......................................0:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ვარტა ..................................0:2
შლასკი-ჩენსტოხოვა ............................1:4
ლეხი-პიასტი .......................................1:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-ფეჰერვარი ..........................3:1
ფერენცვაროში-ჰონვედი .....................3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კოლოსი-რუხი ......................................2:0
შახტარი-კრივბასი ...............................1:0
დინამო-დნიპრო ...................................0:3

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ლუნგბიუ ..............................2:1
რანდერსი-ოლბორგი ............................1:0
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი .............3:1
სილკებორგი-ოდენსე ...........................1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰამარბი .......................................2:2
ვარბერგი-ნორჩიოპინგი ......................1:1
გიოტებორგი-სირიუსი .........................2:0
მალმიო-კალმარი ................................0:1
ჰელსინბორგი-მიალბი .........................0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ვალერენგა ............................1:2
ლილესტრიომი-კრისტიანსუნი ...........1:1
მიოლდე-სარპსბორგი .........................4:1
ალესუნდი-ოდი ...................................1:1
ჰამკამი-ჰაუგესუნი ............................1:0
ტრომსო-რუსენბორგი .........................4:3

# ლუჩანო სპალეტი: „ხვიჩას მხრებზე საქართველო აწევს“



სერია ა-ს მე-3 ტურში ხვიჩა კვარაცხელია და ნაპოლი ფლორენციაში ფიორენტინას ესტუმრნენ. მატჩი უგოლოდ – 0:0 დასრულდა. კვარაცხელიამ მოედანზე 60 წუთი გაატარა, რის შემდეგაც ლუჩანო სპალეტიმ ელიფ ელმასით შეცვალა.

კვარაცხელიას ისეთი თამაში ნამდვილად არ ჰქონია, როგორსაც მისგან ელოდნენ. მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელის შესახებ ნეაპოლიტანელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ისაუბრა:

– კვარაცხელია? მან თავისი შესაძლებლობები ვერ აჩვენა, უჭირდა ორთაბრძოლებში და ბურთთან შელევა. მაგრამ რა პასი ლოსანოზე? არ შეიძლება მსგავსი მომენტის გამოუყენებლობა. ახალგაზრდა ფეხბურთელების მსგავსად, კვარას ძალიან სურს გაბრწყინება და მხრებზე მთელი ერის, საქართველოს გზავნილი აქვს. ახლა ის ცოტა დაძაბულია, რადგან უნდა, თავისი შესაძლებლობები ერთიანად აჩვენოს, მაგრამ სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს. ის უნდა დაელოდოს შესაფერის მომენტს, რათა ცხადი გახდეს, რომ ნებისმიერ გუნდთან სათამაშოდ მზადაა. გეტყვით, რომ 3 ტურის თავზე ხვიჩას აქტივში ისევ 3 გოლი და საგოლე პასია. ამდენივე გოლი აქვს იუვენტუსელ დუშან ვლაჰოვიჩსაც, მაგრამ ბომბარდირებში პირველი კვლავ ჩვენებურია, რადგან სერბს საგოლე პასით სჯობია.

ნაპოლიმ კი მიმდინარე სეზონში პირველად ვერ მოიგო და 7 ქულით მილანთან, ლაციოსთან, ატალანტასთან, ტორინოსა და რომასთან ერთად სერია ა-ს თანალიდერია. ნაპოლი და კვარაცხელია მომდევნო მატჩს 31 აგვისტოს „სტადიო მარადონაზე“ ლეჩესთან გამართავენ.

# უეფა ყირიმს უარს ეუბნება

24 აგვისტოს ე.წ. თანამეგობრობის ლიგა დაფუძნდა, რომელშიც მონაწილეობას რუსების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გუნდები მიიღებენ: ლუგანსკის, დონეცკის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლო), ხერსონის, ზაპოროჟიეს, ხარკოვის, ყირიმისა და სევასტოპოლის კლუბები.

მეტიც, რუსეთის ნაციონალური საფეხბურთო ლიგის (რანგით მე-2 ლიგა) პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნაილ იზმაილოვი ყირიმისა და სევასტოპოლის კლუბების გაწევრიანებას გეგმავს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით უეფას პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა.

– ძალაში რჩება უეფას 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომელიც ყირიმის კლუბებს რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობას უკრძალავს.

# პოგბას ფულს სძალავენ




საფრანგეთის ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ ბავშვობის მეგობრები შანტაჟს უწყობენ და 13 მილიონ ევროს სძალავენ. ამას წინ უძღოდა ფეხბურთელის ძმის, მატიას პოგბას მუქარა – იმ ინფორმაციას გავხეთქავ, რომელიც ჩემი ძმის სახელს მთელ მსოფლიოში შელახავსო.

29 წლის პოგბამ პოლიციაში უჩივლა ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ფულს სთხოვს და ეუბნება, რომ ეს მისი 13-წლიანი დაცვის გასამრჯელოა. პარიზის ძალოვანმა სტრუქტურებმა გამოძიება დაადასტურეს. „ფრანს ინფომ“ შეიტყო, რომ „ადამიანთა ჯგუფი“ ნახევარმცველის ბავშვობის ამხანაგები არიან. იუვენტუსის ფეხბურთელი იმასაც ამბობს, რომ გამომძალველებმა საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბან ლანი-სურ-მარნში საქმის გასარჩევად ბინაში შეათრიეს.

ლაპარაკია ბავშვობის მეგობრებსა და ორ ჰუდიანქუდიან კაცზე, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირათ. პოგბას გამომძიებლებისთვის უთქვამს, რომ მოძალადეებმა უსაყვედურეს, რაც პროფესიონალი ფეხბურთელი გახდი, ჩვენთვის ფული აღარ მოგიციაო და 13 მილიონი ევრო მოსთხოვეს. პოგბას თქმით, მან გამომძალველები რამდენჯერმე დაინახა – აპრილში – მანჩესტერში და ივლისში – ტურინში, იუვენტუსის ბაზაზე.

მსოფლიოს ჩემპიონს გამომძიებლებისთვის მოუყოლია, რომ ბავშვობის მეგობრებს მატერიალურად ყოველთვის ეხმარებოდა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამ ხალხს ფული არ მისცა, იანვარში მოხდა, როდესაც მანჩესტერში ერთ-ერთ მათგანთან კონფლიქტი მოუვიდა. მაშინ პოგბამ ეს „მეგობარი“ სახლიდან გააგდო. მიზეზი ის იყო, რომ პოგბა ფიქრობდა, ამ „მეგობარმა“ მისი საკრედიტო ბარათით ისარგებლა და 170.000 გირვანქა სტერლინგი მოჰპარა.

პოგბა და მისი ძმები მატიასი და ფლორენტენი ლანი-სურ-მარნში იზრდებოდნენ. მატიასმა სოციალურ ქსელებში მიმართვა გაავრცელა:

– საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის საზოგადოება, სხვა სიტყვებით, მთელი მსოფლიო, ჩემი ძმის ფანები, საფრანგეთის ნაკრებისა და იუვენტუსის ფეხბურთელები იმსახურებენ, იცოდნენ ბევრი რამ. მათ უნდა გაიგონ, არის თუ არა ღირსი პოლი, ნაკრებში იკავებდეს ადგილს და მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს. იმსახურებს თუ არა ის, იყოს იუვენტუსის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე. არის თუ არა ის სანდო ადამიანი.

შემდეგ მატიასმა პოგბას აგენტ რაფაელა პიმენტას შეუტია. პიმენტა პოგბას აგენტი მინო რაიოლას სიკვდილის შემდეგ გახდა და ჩაროზად დასძინა, რომ კილიან მბაპეს შესახებ „ქვის გამხეთქი“ ამბავი იცის.

– ამ ყველაფერს მოგიყვებით და მეყოლება უამრავი მოწმე, რომლებიც ჩემს სიტყვებს დაადასტურებენ.

დედამ და ადვოკატმა იეო მორიბამ პოლის მხარე დაიჭირეს. მათ გაავრცელეს განცხადება, სადაც მატიასსა და მის თანამზრახველებს ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება უწოდეს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 2. წინასწარმეტყველი ძველ რომსა და საბერძნეთში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერით, ნახევარი ტონით ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 21. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 22. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. მჟავიანობის ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 18. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. დამარილებული ღორის ქონი; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. ოთხფეხა შინაური ცხოველი; 25. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. ბაზალეთი; 3. ინტელი; 4. ლიოვი; 5. მისისიპი; 8. კერატიტი; 12. სუმი; 13. აკუსტიკა; 14. არქივი; 16. გინიოლი; 18. ბორტი; 20. არგო.

**თარაზულად:** 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კელარი; 9. ბურჟე; 10. ნეისმიტი; 11. ანასეული; 15. აკროტოფორი; 17. ვოლსკი; 19. ველასკესი; 21. ნიაგარა; 22. სამშვილდე; 23. რონდელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. აკაპელა; 3. ნეისმიტი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. ტაბორი; 19. პაგანინი; 21. კოლიო; 22. თლაშო.

**თარაზულად:** 1. მაგნოლია; 5. კარე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კაბერნა; 12. ამილაზა; 13. დიონისე; 16. ოსმალეთი; 17. ტუში; 18. სპორა; 20. კარაბინი; 22. თერგი; 23. პალერმო; 24. ციცარი; 25. იგავი.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8607

ევრო — 2.8584

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3476

100 რუსული რუბლი — 4.6860

## ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსათვის




## დეპაი შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს



ბარსელონის ჰოლანდიელი ფორვარდი მემფის დეპაი შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს, რადგან მას გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს, ხოლო მანჩესტერ იუნაიტედში ტრანსფერი ჩაშლის პირას არის. დეპაიმ ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მისი წასვლის სურვილი სწორედ ამით არის გამოწვეული.

## კლოპი: „პროგრესი ყოველთვის შეიძლება“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მიუხედავად ბორმუტთან გამარჯვებისა, ლივერპულს კვლავ შეუძლია პროგრესის მიღწევა და ეს ლივერპულის მაქსიმუმი არ არის: „ბორმუტთან რაც ვიხილე, ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ლივერპულის მაქსიმუმი არ არის და ჩვენ გაცილებით მეტი შეგვიძლია. ლივერპული მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს“.

## რეშფორდი შესაძლოა პსჟ-ში გადავიდეს



შესაძლოა პსჟ-ს ფორვარდი მარკუს რეშფორდი პსჟ-ში გადავიდეს და პარიზული გუნდი მის მიმართ სერიოზულ ინტერესს იჩენს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პსჟ მზად არის, რეშფორდის ტრანსფერში 40 მილიონი გადაიხადოს, თუმცა მანჩესტერს, სავარაუდოდ, ეს თანხა არ დააკმაყოფილებს. რეშფორდმა რამდენიმე სხვა გუნდის წინადადება უარყო, თუმცა მას არც ახალი კონტრაქტი გაუფორმებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## დათვმა ქალი მოკლა, ხოლო ქმარი და ქალიშვილი დაასახიჩრა



ინდოეთში დათვმა ტყეში მყოფი ქალი დაგლიჯა, ხოლო მისი მეუღლე და ქალიშვილი, რომლებიც ქალის დახმარებას ცდილობდნენ, დაასახიჩრა.

აღნიშნული შემთხვევა ორშაბათს, 22 აგვისტოს, ოდიშის შტატში მოხდა. სოფელ ტანგამის მკვიდრი, ხანდაზმული ბუდული მალიკი, სახლის შორიახლოს, ტყეში, შეშის შესაგროვებლად იმყოფებოდა, რა დროსაც მას თავს დათვი დაესხა.

მალიკის ყვირილი მისმა ქმარმა ბანჩამ და ქალიშვილმა სუნიტამ გაიგონეს. ისინი საშველად გაიქცნენ, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს და თავადაც სერიოზული დაზიანებები მიიღეს. დათვის თავდასხმის შედეგად ბუდული მალიკი დაიღუპა, ხოლო კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მისი ქმარი და ქალიშვილი ქალაქ ბალიგუდის საავადმყოფოში აღმოჩნდნენ.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მტაცებელი ცხოველის თავდასხმის მსხვერპლის ახლობლებს ერთჯერადი კომპენსაციის სახით 14 ათასი რუპია გადასცეს. შემთხვევის სრული გამოძიების დასრულების შემდეგ დაშავებულები და მათი ნათესავები სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით კიდევ 400 ათას რუპიას მიიღებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 30 აგვისტოსათვის

**ვერძი** – ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **კურო** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. სტუმრების მიღება სხვა დროისათვის გადადეთ. **ტყუპები** – ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. პროვოკაციული დღეა. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე აღკვეთეთ. გაერიდეთ ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. **ლომი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლებათ. ეცადეთ, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **ქალწული** – მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. **სასწორი** – ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განიხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** – სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლობელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედგაცრუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მერწყული** – წვრილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **თევზები** – შემოსავალი მოულოდნელად გეზრდებათ. მეგობარი დახმარების ხელს გიწვდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ქმარმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო. ეგრევე დატრიალდა და საყვარელს სთხლიშა.

ცოლი:

– სწორია! აქ არ ცხოვრობს, მაგრამ მაინც დაეთრევა!

ამ დროს საყვარელმა სთხლიშა ქმარს.

ცოლი:

– სწორეა! თვითონ არ შეუძლია და არც სხვას აძლევს საშუალებას!

●●●

ჯვრისწერის ცერემონიის შემდეგ სიძე მღვდელთან მივიდა და ეკითხება:

– მამაო, რამდენია გადასახდელი?

– არაფერი, შვილო ჩემო, მაგრამ თუ თქვენ გსურთ ეკლესიას თანხა შემოსწიროთ, გაგვიხარდება.

– და რამდენია საჭირო?

– და თქვენ რამდენად შეაფასებდით თქვენი მეუღლის სილამაზეს?

სიძემ ლარიანი ამოიღო და გაუწოდა. მამაომ პატარძალს დაკვირვებით შეხედა, შემდეგ ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო და სიძეს გაუწოდა:

– აი, აიღე, ხურდა გერგება!

●●●

დედამთილი რძალს ურეკავს და ეკითხება:

– აბა, როგორაა ჩემი შვილი?

– როგორ უნდა იყოს? სვამს, ქალებში დაეთრევა, მცემს...

– მადლობა ღმერთს, მთავარია, ავად არ ყოფილა!

●●●

ნაცნობი ქალს ეუბნება:

– დაბადების დღეს გილოცავ! რამდენის გახდი?

– როდესაც გავთხოვდი, მე 20 წლის ვიყავი, ჩემი ქმარი კი 40-ის. ანუ მასზე ორჯერ ახალგაზრდა ვიყავი. ახლა ჩემი ქმარი 70 წლისა, ასე რომ, მე 35-ის ვარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქართული ფილმი ვენაში დააჯილდოვეს



რეჟისორ სანდრო ელოშვილის ფილმმა „მე ვგრძნობ, მე ვოცნებობ, შენ ხედავ“ ვენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მსოფლიო კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა.

სანდრო ელოშვილმა ფილმი 202-ე უსინათლოთა სკოლასა და მის მოსწავლეებს მიუძღვნა. ფილმი 200-მდე კონკურსანტს შორის შეირჩა და მეორე საპრიზო ადგილიც დაიკავა, თუმცა რეჟისორმა ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო.

**სანდრო ელოშვილი, რეჟისორი:**

– მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ გაგიხარდათ ის წარმატება, რომელიც მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა ვენის კინოფესტივალზე მოიპოვა.

მაგრამ მინდა, მეორე მხრიდანაც დაგანახოთ ეს ყველაფერი: შარშან, ალბათ წელიწადნახევრის წინ, დამირეკა ჩემმა მეგობარმა დავით გოდერძიშვილმა და მითხრა, რომ 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლის დირექტორთან, თიკო საბაურთან საუბრის შემდეგ მან გადაწყვიტა, გაკეთდეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი გერმანულ ენაზე და კონკრეტულ ფესტივალზე გაიგზავნოს, რაშიც მთხოვა დახმარება უანგაროდ და ასეთ შემთხვევაში მისი კომპანიის კუთვნილ ტექნიკასაც უფასოდ დაუთმობდა ამ პროექტს.

რადგანაც იყო პანდემია, ყველაფერი მოხდა ონლაინრეჟიმში, გავაკეთე სცენარი, ე.წ. რასკადროვკა, საქმეში ჩაერთო უყოჩაღესი სალომე ბენდიანიშვილი, არაჩვეულებრივმა ოპერატორმა ლევანმა ამ ყველაფრის მიხედვით აკრიფა კადრები, რომელიც გადაიღო 202-ე სკოლაში და მასში მონაწილეობდნენ 202-ე სკოლის ბავშვები, მასწავლებლის როლში ფილმში ასევე მონაწილეობს სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინ საბაური.

პანდემიიდან და არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ონლაინრეჟიმში ვუყურებდით ამ კადრებს და ვარჩევდით. ასე შეიქმნა ეს ფილმი, რომელმაც ვენის კინოფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა 200 ფილმს შორის.

როგორც უკვე იცით, წელიწად-ნახევრის შემდეგ ეს ფილმი წავიდა ფესტივალზე ისე, რომ ქალბატონ თიკოს არაფერი უთქვამს ჩვენთვის, შესაბამისად, ფესტივალზეც ფილმის წარმდგენი თვითონ გახლდათ, შესაბამისად, მეორე ადგილის მფლობელიც, როგორც აღმოჩნდა, თვითონ გახდა, რადგანაც ფესტივალის ოფიციალურ იუთუბ არხზე მითითებულია: თინათინ საბაური. აქ არც ჩემი გვარი, არც გადამღებოპერატორისა და არც პროდუსერებისა და შემსრულებელი კომპანიის სახელებია ნახსენები.

კარგი, რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ ნამდვილად არ მქონია რეაქცია, რადგანაც ძალიან გამიხარდა და ჩავთვალე, რომ ეს უმნიშვნელო ფაქტია, რომელიც შეიძლება ტექნიკურ-ემოციური ხარვეზი ან გამორჩენა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ფეისბუქ მესენჯერის ჩათში გამართული ოთხმხრივი??დიალოგის დროს გავიგეთ, რომ ფილმმა ასევე მიიღო ფინანსური პრიზი. ამას გარდა, სალომემ დაგეგმა, რომ ეს ამბავი გახმაურებულიყო საქართველოში და შეატყობინა ტელეკომპანიებს.

ღმერთია მოწამე და იმ დღეს, სანამ გადაღებაზე მივიდოდი, ჩემი მეგობრებიც დაადასტურებენ, რომ ვუთხარი, უარს ვაცხადებდი არსებულ ჯილდოზე.

თუმცა შემდეგ ჩათში ისევ გაიმართა საუბარი, სადაც ითქვა, რომ ჩვენი, ანუ ჩემი და გადამღები ოპერატორის შრომა „არცთუ ისე“ მცირედი იყო ამ საქმეში და რომ ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ მსგავსი პროექტების ჰონორარებით ვარსებობთ და, რადგანაც მათ შორის ყოფილა მანამდე ნათქვამი, რასაც ქალბატონი თინათინიც ადასტურებს, წერილში ამიტომაც ვციტირებ: დეკემბერში 202-ე სკოლაში საახალწლო ღონისძიების ბოლოს ნამდვილად გავაჟღერე ფრაზა, რომ რეჟისორს სულ უსასყიდლოდ რომ არ ემუშავა, ჯილდოს აღების შემთხვევაში, გადავცემდით გარკვეულ თანხას, რაზეც დათოს პასუხი იყო: თიკო, რას ბაზრობ, ბავშვებს ფულს ხომ არ ავახევთო. ნუ, აქ რომ დათო პასუხობს ჩემ მაგივრად, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ეს არ არის ჩემი პასუხი. ჩემთან ამ თემაზე არავის უსაუბრია, ამიტომაც მეც და ბატონი ოპერატორიც დავთანხმდით ჰონორარის აღებას საპრიზო ფონდიდან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ ყოფილა ჩემი იდეა და, როგორც ხედავთ, მანამდე შეთანხმებული პოზიცია ყოფილა თვით ქალბატონ თინათინთან.

მაგრამ გამოხდა ხანი და ანუ დღეს მომდის ჩათში ტექსტური დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „ვერდიქტი“, ანუ ქალბატონმა თიკომ გამოგვიტანა ვერდიქტი, საიდანაც მინდა, საუკეთესო ამონარიდები გაგაცნოთ, რადგანაც ერთი გვერდია და არ მსურს, ძალიან დიდი გამოვიდეს ისედაც დიდი პოსტი:

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ნანუკა გულუა გოგონას დედა გახდა



„ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი ნანუკა გულუა გოგონას დედა გახდა. მისი პატარა გაგუას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია მსახიობმა სალომე შარვაძემ გაავრცელა:

– გოგოა, გოგო! მობრძანდა, როგორც იქნა! ნანუკა, კახაბერ, გილოცავთ უდიდეს და ბედნიერ დღეს!

პ.ს. ნანუკა გულუა კახაბერ კაშიაზე რამდენიმე თვის წინ დაქორწინდა. ორსულ პატარძალს თეთრი კაბა განსაკუთრებით უხდებოდა.

## ქართული მარკა ევროპის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს



ქართული მარკა, რომელზეც ლადო გუდიაშვილის ნახატი „მედეა მიფრინავს იაზონთან“ არის დაბეჭდილი, ევროპის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს.

ინფორმაცია „საქართველოს ფოსტამ“ გაავრცელა:

– ქართული მარკა ევროპის საერთაშორისო კონკურსზე იღებს მონაწილეობას.

გამარჯვებული მარკა გამოვლინდება 9 ოქტომბერს.

მარკაზე გამოსახულია ლადო გუდიაშვილის ნამუშევარი, სახელწოდებით „მედეა მიფრინავს იაზონთან“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კარსტული მღვიმე იმერეთში; 2. ფრინველის საჭერი მახე; 3. ნ.ბ.ა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. უდაბნო შუა აზიაში; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლება; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 16. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

**თარაზულად:** 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 10. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 11. ხრტილების ანთება; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. მფრინავი ცხოველი; 19. შეიარაღებული მძარცველი აშშ-ში; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული მართლმადიდებელ ეკლესიაში; 23. ტკბილი, წითელი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

